გურამ თავართქილაძის სახელობის
თბილისის სასწავლო
უნივერსიტეტი

ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების
ფაკულტეტი

სპეციალობა: საერთაშორისო ბისნესის მენეჯმენტი

სამაგისტრო ნაშრომი

საქართველო-თურქეთის სავაჭრო ურთიერთობების შედეგები

სტუდენტი: ირაკლი ოთიაშვილი

ხელმძღვანელი: ეკონომიკის აკადემიური დოქტორი გელა ალადაშვილი

თბილისი

2019

ანოტაცია

წარმოდგენილი ნაშრომის მიზანია საქართველო-თურქეთის სავაჭრო ურთიერთობების შედეგების მიმოხილვა-ანალიზი, ვინაიდან საერთაშორისო ვაჭრობა უდიდეს გავლენას ახდენს საერთაშორისო პოლიტიკაზე, ქმნის მჭიდრო საქმიან კავშირებს ქვეყნებს შორის. იგი მშვიდობის ფაქტორია. დღეს საერთაშორისო ვაჭრობაში ჩაბმულია ყველა ქვეყანა, ვინაიდან ვერც ერთი მათგანი ვერ შეძლებს იყოს თვითკმარი და მხოლოდ საკუთარი წარმოების პროდუქციით უზრუნველყოს თავისი თავი.

კვლევის მიზნების განსახორციელებლად ნაშრომის პირველ თავში განხილულია თურქეთის ეკონომიკის ზოგადი დახასიათება, ურთიერთობები სხვა ქვეყნებთან. მეორე თავში მიმოვიხილავთ საქართველო-თურქეთის პოლიტიკურ ეკონომიკური ურთიერთობებს ხოლო ნაშრომის მესამე აანალიზბს საქართველო-თურქეთის სავაჭრო ურთიერთობების შედეგებს. ნაშრომს ერთვის დასკვნა და გამოყენებული ლიტერატურის სია.

ნაშრომზე მუშაობის პროცესში გამოყენებულია ქართველი და უცხოელი მეცნიერ ეკონომისტების ნაშრომები, სამეცნიერო პერიოდულ გამოცემებსა და ინტერნეტ სივრცეში განთავსებული ბუბლიკაციაები, საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტრო და სტატისტიკი ეროვნულის სამსახურის მიერ წარმოდგენილი ანგარიშები და მონაცემები.

Annotation

The goal of the paper is to discuss and analyze the results of trade relationship between Georgia and Turkey as international trade has huge influence on international politics, creates tight business connections between the countries. It is factor of peace. Today all countries are involved in international trade as none of them are able to be self-sufficient and sustain themselves only with their own production. To fulfill the aims of the research the first chapter of paper discusses general description of economy of Turkey, relationship with other countries. In the second chapter we discuss Georgian-Turkish political economical relationships and in third chapter analyzes results of Georgian-Turkish trade relationships.The paper includes conclusion and list of used literature. During working on the paper the works of Georgian and foreign scientist economists has been used, scientific articles and publications placed on internet, the reports and data presented Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia and National Statistics Office.

გეგმა

შესავალი----------

თავი I. თურქეთის ეკონომიკის ზოგადი დახასიათება, ურთიერთობები სხვა ქვეყნებთან----------

თავი II. საქართველო-თურქეთის პოლიტიკურ ეკონომიკური ურთიერთობები ----------

2.1. თურქეთის სტრატეგია საქართველოსთან მიმართებაში----------

2.2. საქართველოს სტრატეგია თურქეთთან მიმართებაში----------

თავი III. სავაჭრო ურთიერთობა საქართველოსთან----------

3.1. თურქეთ-საქართველოს ურთიერთობები თანამედროვე ეტაპზე--------

3.2. სავაჭრო ურთიერთობების შედეგები საქართველოსთვის----------

დასკვნა----------

გამოყენებული ლიტერატურა----------

შესავალი

კვლევის აქტულობა. ათეული წლებია საქართველო თურქეთისათვის მეტად მნიშვნელოვან პარტნიორად იქცა. ცივი ომის დასრულების შემდეგ, საქართველოს სურვილმა შეასუსტოს რეგიონზე რუსეთის პოლიტიკური გავლენა და მხარი დაუჭიროს ბაქო-ჯეიჰანის პროექტს, ამ ორი სახელმწიფოს ინტერესები მჭიდროდ დააახლოვა. თურქეთს სურს საქართველოსთან მეგობრული ურთი-ერთობები კიდევ უფრო მეტად გააღრმავოს. ამისთვის მზად არის, გაზარდოს პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო მხადრაჭერა. ანკარა თბილისს სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში გასასვლელ ხიდად განიხილავს.

განსხვავებით რუსეთისაგან, რომელიც ყოველთვის ერეოდა საქართველოს საშინაო საქმეებში და განსაკუთრებით სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის საკითხებში, თურქეთი მუდამ ადასტურებდა და მხარს უჭერდა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. უფრო მეტიც, როცა 2001 წლის სექტემბრის მოვლენების შემდეგ რუსეთმა დაიწყო საქართველოს დადანაშაულება პანკისში ჩეჩენი ტერორისტების მფარველობის თაობაზე, თურქეთმა და აშშ-მ ღიად დაუჭირეს მხარი საქართველოს. ამით მან არა მარტო საქართველოსადმი თანადგომა გამოხატა, არამედ მოახდინა იმის დეკლარირება, რომ მისი დამოკიდებულება საქართველოს მეგობარი სახელმწიფოების იდენტურია. მაშასადამე, თურქეთის რესპუბლიკა საქართველოს წამყვანი რეგიონული პარტნიორია, რომელიც ხელს უწყობს ჩვენი ქვეყნის ჩამოყალიბებას სტაბილურ და ძლიერ სახელმწიფოდ. საქართველო-თურქეთის ურთიერთობები სტრატეგიული ხასიათისაა, ამ მხრივ, აღსანიშნავია ვაჭრობის, ეკონომიკის, ენერგეტიკის, თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროები.

მნიშვნელოვანია თურქეთის მხარდაჭერა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხში, ისევე, როგორც მისი დახმარება ევრო-ატლანტური ინტეგრაციის პროცესში და ქართული არმიის მშენებლობის საქმეში. ქვეყნის დემოკრატიული განვითარება წარმოუდგენელია ძლიერი საბაზრო ეკონომიკის გარეშე. აუცილებელია ეკონომიკური დიპლომატიის გააქტიურება, რაც ხელს შეუწყობს მდგრადი ეკონომიკური ზრდისთვის სასურველი საგარეო პირობების ჩამოყალიბებას. უნდა მოვახდინოთ დიპლომატიური ბერკეტების გამოყენება ეროვნული პროდუქციისთვის ახალი ბაზრების მოპოვების და საზღვარგარეთ ქართველ მეწარმეთა ბიზნეს საქმიანობის ხელშესაწყობად, ასევე უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად და ეკონომიკის განსავითარებლად. ბოლო წლებში განსაკუთრებული სიმწვავით დადგა ენერგეტიკული უსაფრთხოების პრობლემა, როგორც ეროვნული, ასევე გლობალური მასშტაბით. ქვეყნის სტაბილური ენერგეტიკული უზრუნველყოფა წარმოადგენს პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობის განუყოფელ ნაწილს. ენერგეტიკული მომარაგების დივერსიფიცირება ეკონომიკური დიპლომატიის ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა, მაგრამ ვაჭრობას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საერთაშორისო ურთიერთობებში. ზოგიერთი მეცნიერი იმდენად შორს მიდის ვაჭრობის როლის შეფასებაში, რომ ვაჭრობასა და ომს საერთაშორისო ურთიერთობების ძირითად შემადგენლებად მიიჩნევს. *კვლევის მიზანი.* წარმოდგენილი ნაშრომის კვლევის მიზანიზა საქართველო-თურქეთის სავაჭრო ურთიერთობების შედეგების მიმოხილვა-ანალიზი, ვინაიდან საერთაშორისო ვაჭრობა უდიდეს გავლენას ახდენს საერთაშორისო პოლიტიკაზე, ქმნის მჭიდრო საქმიან კავშირებს ქვეყნებს შორის. იგი მშვიდობის ფაქტორია. თანამედროვე ურთიერთდამოკიდებულ მსოფლიოში საბაზრო ეკონომიკა კიდევ უფრო მნიშვნელოვანს ხდის საერთაშორისო ვაჭრობას. დღეს საერთაშორისო ვაჭრობაში ჩაბმულია ყველა ქვეყანა, ვინაიდან ვერც ერთი მათგანი ვერ შეძლებს იყოს თვითკმარი და მხოლოდ საკუთარი წარმოების პროდუქციით უზრუნველყოს თავისი თავი. შრომის საერთაშორისო დანაწილების პირობებში ქვეყანას ყოველთვის სჭირდება გარკვეული პროდუქციის იმპორტირება, ხოლო

საიმპორტო ხარჯების დაფარვა შესაძლებელია ექსპორტიდან მიღებული შემოსავლით. რაც უფრო დიდია ქვეყანა, მით უფრო დიდი ნაწილი მისი ეროვნული პროდუქციისა არის ჩაბმული საერთაშორისო ვაჭრობაში.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველო დაადგა სავაჭრო ურთიერთობების ლიბერალიზაციის საკმაოდ მტკივნეულ გზას, რამაც შესაბამისი საგარეო –სავაჭრო პოლიტიკის შემუშავება და საერთაშორისო სავაჭრო სისტემაში ინტეგრაცია უალტერნატივო მოვლენად აქცია. მნიშვნელოვანია საქართველოს გაწევრიანება ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში (ვმო), რომელიც მოწოდებულია ხელი შეუწყოს საქართველოს ეკონომიკის მსოფლიო ეკონომიკურ სივრცეში ინტეგრაციას. საერთაშორისო სავაჭრო პოლიტიკა ახალ ეკონომიკურ სისტემაზე გარდამავალი საქართველოსთვის განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს, რომელიც ხანგრძლივი იზოლაციის შემდეგ აქტიურად ცდილობს კუთვნილი ადგილი დაიკავოს მსოფლიო თანამეგობრობაში და მოახდინოს ქვეყნის ეკონომიკის სრულ-ყოფილი ინტეგრირება გლობალურ ეკონომიკურ სივრცეში.

- კვლევის მიზნების განსახორციელებლად სახულია შემდეგი ამოცანები:
- თურქეთის ეკონომიკის ზოგადი დახასიათება, ურთიერთობები სხვა ქვეყნებთან
- საქართველო-თურქეთის პოლიტიკურ ეკონომიკური ურთიერთობების მიმოხილვა
- საქართველო-თურქეთის სავაჭრო ურთიერთობების შედეგების ანალიზი

კვლევის თეორიულ მეთოდოლოგიური ბაზა. ნაშრომზე მუშაობის პროცესში გამოყენებულია ქართველი და უცხოელი მეცნიერ ეკონომისტების ნაშრომები, სამეცნიერო პერიოდულ გამოცემებსა და ინტერნეტ სივრცეში განთავსებული ბუბლიკაციაები, საქართველოს საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროს და სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ წარმოდგენილი ანგარიშები და მონაცემები.

თავი I. თურქეთის ეკონომიკის ზოგადი დახასიათება, ურთიერთობები სხვა ქვეყნებთან

თურქეთის საგარეო პოლიტიკის წარმმართველი ძირითადი პრინციპია რესპუბლიკის დაამაარსებლის და პირველი პრეზიდენტის მუსტაფა ქემალ ათათ–ურქის სიტყვები „მშვიდობა ქვეყანაში,მშვიდობა მსოფლიოში“ თურქეთში მშვიდობა ჩვენგან განსხვავებით მარცხთან არ ასოცირდება, პირიქით, მშვიდობა გამარჯვების გაგრძელებაა. ანგარიში კარგად იციან მცირე დიდი პრეზიდენტის თურქეთ ოზალის სიტყვების ფასიც:“შიშით საგარეო პოლიტიკა ვერ წარიმართება“ და მართლაც, თურქეთი საკმაოდ აქტიურ საგარეო პოლიტიკას აწარმოებს.

ურთიერთობები დასავლეთთან - ანკარა არის ნატოს და ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის აქტიური წევრი. ცდილობს გახდეს ევროკავშირის წევრი. თურქეთი თავისი იშვიათი გეოპოლიტიკური მდგომარეობის გამო ყოველთვის იწვევდა დასავლეთის ინტერესს. იგი ათწლეულების განმავლობაში რეალურ დახმარებას უშწევდა დასავლეთის უსაფრთხოებასა და თავდაცვას. თურქეთი ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებთან ურთიერთობას ორ ძირითად დასაყრდენად მიჩნევს ევროატლანტიკურ კავშირებში. ურთიერთობები შუა აზიასთან - „ცივი ომის“ დამთავრების და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ

თურქეთმა თავისი სტრატეგიული ინტერესები მიმართა კავკასიისა და ცენტრალური (ძველი განსაზღვრებით–შუა აზიისაკენ) ოზალის იდეით, თურქეთი უნდა გამხდარიყო „ახალგაზრდა დამოუკიდებელი რესპუბლიკების არსებობის გზამკვლევი და ორიენტირი“ თანამედროვე მსოფლიოში. ანკარამ 1997 წლის ბოლოს პირველმა აღიარა თურქმენეთის, უზბეკეთის, ყაზახეთისა და ყირგიზეთის დამოუკიდებლობა და ცოტა ხნის შემდეგ აშხაბადში. ტაშკენტში, ბიშკეკსა და ალმაატაში გაიხსნა დიპლომატიური და საკონსულო წარმომადგენლობები, რომლებსაც ხელი უნდა შეეწჰოთ ორმხრივი პრიორიტეტული ურთიერთობების განვითარება–გაღრმავებისათვის. ცხადია, შეცვლილ გეოპოლიტიკურ სიტუაციაში. ამ მიზნების განხორციელება იოლი არ იყო, რადგან ჯერ ერთი – ხსენებული რეგიონი გეოგრაფიული თვალსაზრისით საკმაოდ დაშორებულია ანატოლიისაგან, მეორე–კვლავ რჩებოდა რუსეთის გავლენის, ფაქტორი, როგორც პოლიტიკურ, ასევე ეკონომიკურ და კულტურულ სფეროში. (მრავალმილიონიანი რუსული დიასპორების მეშვეობით ყაზახეთში, უზბეკეთში და ა.შ.) მესამე–იგივე რუსეთი საკმაო ყურადღებით ადევნებდა თვალს თურქეთის შეგემონიის დაწყების მცდელობებს, რასაც შეიძლებოდა არასასურველი შედეგები მოჰყოლოდა მოსკოვთან მიმართებაში, და მეოთხე–გავლენის მოპოვების მიზნით დიპლომატიაში ჩაერთო ირანიც, რომელიც თურქეთისაგან განსხვავებით უშუალოდ ესაზვრება რეგიონს.

თურქეთმა პირველ ეტაპზე აქტიურად დაიწყო მოძმე თურქლ რესპუბლიკებთან დაახლოების პროცესი, ანკარასა (1992 წლის ოქტომბერში) და სტამბოლში (1994 წლის ოქტომბერში) და სტამბოლში (1994 წლის ოქტომბერში) ჩატარდა შეხვედრები უმაღლეს დონეზეც, ხელი მოეწერა მრავალრიცხოვან ხელშეკრულებებს სხვადასხვა სფეროში. ამავე დროს ანკარა ხელიდან არ უშვებდა შესაძლებლობას ხაწი გაესვა ისტორიულ კულტურულ, რელიგიურ და ენობრივ ერთობაზე თურქეთის ექსიმბანკის მეშვეობით ცენტრალური აზიის ქვეყნებისადმი გაიცა მრავალმილიონიანი შეღავათიანი კრედიტები, მოხერხდა თურქე. ტელერადიომაუწყებლობის ორგანიზაციაც თანამგზავრული სისტემების საშუალებით. ანკარამ გამოჰყო ადგილები თავის უმაღლეს სასწავლებლებში ხსენებული სახელმწიფოების სტუდენტთათვის (1993–94 სასწავლო

წელს–2,2 ათასი ადგილი. ეს ეხება არამარტო სამოქალაქო, არამედ სამხედრო სპეციალობებსაც).[1] მაგრამ ბოლო წლების განმავლობაში თურქეთის ეკონომიკაში განვითარებული კრიზისის გამო ასეთი სახის უანგარო დახმარებები მკვეთრად შემცირდა და ამჟამად ურთიერთობებში ძირითადი ადგილი ეთმობა სავაჭრო და კულტურულ ორმხრივ თანამშრომლობას (ეს აღინიშნება კიდეც 1995 წლის აგვისტოში ბიშკეკში ჩატარებულ მესამე სამიტზე).

ურთიერთობები კავკასიასთან - თურქეთის სახელმწიფოებრიობის მთელი ისტორიის მანძილზე ამ ქვეყნის ინტერესს მეზბელი რეგიონისადმი ობიექტურად განსაზღვრავდა გეოპოლიტიკური, სამხედრო, სავაჭრო–ეკონომიკური და სხვა მიზნების ერთობლიობა, რაც ამიერკავკასიისა და ჩრდილოეთ კავკასიის მეტწილ ხალხებთან თუნქთა ეთნიკური და რელიგიური სიახლოვით არის განპირობებული.

ამიერკავკასიის სახელმწიფოებიდან თურქეთს, შეიძლება ითქვას, ყველაზე მჭიდრო ურთიერთობები გააჩნია აზერბაიჯანთან და საქართველოსთან (ამ უკანასკნელთან ურთიერთობებზე ქვემოთ ვრცლად შევჩერდებით). ანკარა ბაქოს თავის სტრატეგიულ მოკავშირედ მიიჩნევს და მას არც აზერბაიჯანი უარყოფს– თურქეთი მას დიდ ფინანსურ და პოლიტიკურ დახმარებას უწევს. გამოდის ბაქოს მხარდამჭერად ყველა საერთაშორისო ფორუმხეც და ორგანიზაციაში, იქნება ეს გაერო, ეკო თუ ეუთო. ანკარის ინტერესებს განსაზღვრავს აგრეთვე ნავთობის საკითხიც.

ურთიერთობები ისლამურ სამყაროსთან - თურქეთი იზიარებს აზრს, რომ ერაყის პოზიცია სრულ შესაბამისობაში უნდა მოვიდეს გარეთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს რეზოლუციებთან, რომელიც ითვალისწინებს სპარსეთის ყურის ომისშემდგომი ვითარების მოგვარებას და ერაყის განვითარებას დემოკრატიული გზით, რაც მეტად მნიშვნელოვანია ამ რეგიონში უსაფრთხოებისა და სტაბილურობისათვის. მეორე მხრივ მადრიდის კონფერენციის მიერ წამოყენებულმა სამშვიდობო პროცესმა, დაძაბულობის შენელება უნდა მიაღწიოს

[1] ზ. ბატიაშვილი, თანამედროვე თურქეთი ბიულეტენი N12 1998 ივლისი გვ.13

იმით, რომ ისრაელმა ცნოს პრინციპი „მიწა–მშვიდობისათვის“, როგორც ეს ასახულია გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ მიღებულ 242 და 338 რეზოლუციებში. აღნიშნულ უნდა იქნეს პალესტინელების ყველა ლეგიტიმური უფლება, იმ უფლებასთან ერთად, რომელიც ითვალისწინებს საკუთარი სახელმწიფოს შექმნას, ხოლო ისრაელს საშუალება უნდა მიეცეს იარსებოს უსაფრთხოებისა და მსოფლიოში აღიარებული საზღვრების ფარგლებში.

თურქეთს, როგორც საუკუნებრივად მუსლიმურ ქვეყანას, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ისლამური კონფერენციის ორგანიზაციაში და აქტიურ როლს ასრულებს მის ორგანოებში, რომლებიც მოწოდებულნი არიან გააფართოვონ ეკონომიკური და სავაჭრო თანამშრომლობა ისლამურ ქვეყნებს შორის.

ურთიერთობები სხვა ქვეყნებთან - თურქეთის ბალკანეთის რეგიონში კარგი ურთიერთობები აქვს ყველა ქვეყანასთან გარდა საბერძნებისა. პრობლემები ეგეოსის ზღვასა და კუნძულ კვიპროსზე აფერხებს ორ ქვეყანას შორის ნორმალური ურთიერთობების დამყარების პროცესს.

ანკარა ამტკიცებს, რომ კვიპროსის პრობლემა შეიძლება მხოლოდ იმ წესით გადაწყდეს, რომელიც ითვალისწინებს კვიპროსის ორი ხალხის პოლიტიკურ თანასწორობაზე დაფუძნებულ ორზონიან, ორთემიანი ფედერალური სახელმწიფოს არსებობას თურქი და ბერძენი კვიპროსელები თავისუფლად უნდა შეთანხმდნენ აღნიშნული ფორმულის მიხედვით ვალდებულებათა თაობაზე, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს იმ რეზოლუციის შესაბამისად, რომელიც მისაღებია ორივე თემის მიერ. თურქეთის საგარეო პოლიტიკა აქტიურად განიხილავს ურთიერთობის განვითარებას არა მარტო ევროპულ, ტრანსატლანტიკურ და პერიფერიულ რეგიონებთან, არამედ ელტვის, აგრეთვე, კეთილი ურთიერთობის შენარჩუნებასა და განვითარებას შორეულ ქვეყნებთან მსოფლიოს ყველა კუთხეში. უკანასკნელი წლების განმავლობაში მნიშვნელოვნად გაძლიერდა თურქეთ–იაპონიის თანამშრომლობა, განსაკუთრებით ეკონომიკურ სფეროში. ასევე სტაბილურად ვითარდება ურთიერთობანი ჩინეთთან, ინდოეთთან და სხვა აზიურ, შორეული აღმოსავლეთისა და წყნარი ოკეანის

ქვეყნებთან. როგორც გაეროს სპეციალიზებული ორგანიზაციების სისტემაში, ასევე ორმხრივ საფუძველზე, ურქეთი დაინტერესებულია აფრიკის წინაშე მდგომი ეკონომიკური თუ სხვა ხასიათის პრობლემების გადაჭრაში. ბოლო პერიოდში თურქეთმა უნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა აგრეთვე ლათინური ამერიკის ქვეყნებთან ურთიერთობათა გააქტიურების თვალსაზრისითაც.

ეკონომიკის ზოგადი დახასიათება

თურქეთი აგრარულ–ინდუსტრიული ქვეყანაა. ხშირად იდგა სერიოზული ეკონომიკური პრობლემების წინაშე სიტუაცია უკეთესობისკენ შეიცვალა ოზალის რეფორმების შემდეგ, თუმცა პრობლემები კვლავ მრავლადაა: თურქეთს დეფიციტი აქვს საგარეო ვაჭრობაში, საგადამხდელო ბალანსში, სახელმწიფო ბიუჯეტში, ინფლაციამ 1996 წელს 87 პროცენტი შეადგინა საგარეო ვალი 73,6 მილიარდი აშშ დოლარია. თურქეთი ეკონომისტების უმრავლესობის აზრით 1999–95 წლების მთავრობის უმთავრესი დანაშაული სტრუქტურული რეფორმების გაუტარებლობა იყო.

თუკი თურქეთს ევროპის საბაძო კავშირის მოთხოვნების შესრულება სურს, მან სტაბილიზაცის გეგმის განხორციელება აღარ უნდა გადადოს. ეს კი მას დიდ სიძნელეებს უქადის. ამიტომაც ევროპის საბაჟო კავშირთან შეერთებას თავს დროზე ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავდა. მისი მომხრეებიც კი აღიარებენ, რომ საბაჟო კავშირთან კონტაქტი თურქეთისთვის გაცილებით ნაკლებად ხელსაყრელი იქნება ვიდრე თვით ევროპული პარტნიორებისათვის. ამ შეერთების დადებითი მხარე კი, ალბათ ის არის, რომ თურქული კანონები შესაბამისობაში მოვა ევროკავშირის კანონმდებლობასთან, რაც კერძო სექტორს მრავალ დარგში დასავლეთ ევროპასთან კოოპერაციისკენ გაუხსნის გზას.

სოფლის მეურნეობა სოფლის მეურნეობის მთავარი დარგია მიწათმოქმე-დება, რომელიც სოფლის მეურნეობის პროდუქციის ღირებულების 2\3–ს იძლევა. სათესი ფართობის დაახლოებით 80% უჭირავს მარცვლეულ კულტურებს, ძირი-

თადად ხორბალსა და ქერს, რომლებიც მოჰყავთ უმთავრესად ცენტრალურ ანატოლიაში. 1995 წელს მოიყვანეს (მლნ.ტ) ხორბალი – 18, შაქრის ჭარხალი 1,7, ქერი– 7,5 პომიდორი–7,2, ნესვი და საზამთრო– 5,4, კარტოფილი– 4,8 ყურძენი– 3,6, ხახვი– 2,9 ვაშლი – 2,1 სიმინდი– 1,9 მოჰყავთ აგრეთვე თამბაქო, ჩაი, თხილი, ლეღვი, ზეთისხილი, ქამბა და სხვ. მეცხოველეობა

მეცხოველეობა სოფლის მეურნეობის მნიშვნელობით მეორე დარგია 1984 წელს თურქეთში იყო (მლნ,სული) ცხვარი – 35,7, მსხვილფეხა რქოსანი საქონელი – 1,9, თხა– 9,6 მისდევენ აგრეთვე თევზჭერას[2]. მრეწველობა. თურქეთში მოიპოვებენ ქვანახშირს (ზონგულდაქი). მურა ნახშირს (ქუთაპია და მანისა) და მცირე რაოდენობით ნავთობს (ბამანი და სიირთი) იღებენ ქრომიტებს, ბორატებს, სტიმიუმის, რკინის,ვოლფრამის, სპილენძის, მანგანუმის, პოლიმეტალიტების, ვერცხლისწყლის მადანს, ბოქსიტებს, გოგირდს. ქვეყანაში დამუშავებითი მრეწველობის მთავარი დარგებია კვების, საფეიქრო, საშენ მასალათა და ქიმიური მრეწველობა.

თურქეთში არის მცენარეული ზეთის, ბოსტნეულისა და თევზის საკონსერვო და სასმელის ქარხნები, თამბაქოს და ქაღალდის ფაბრიკები და ა.შ.

ტრანსპორტი 1994 წელს ავტოპარკში იყო 3 028 ათ. მსუბუქი ავტომობილი, 688 ათ. სატვირთო, 88 ათ. ავტობუსი მთავარი ნავსადგურებია სტამბოლი, იზმირი, მერსინი, ინქენდურუნი, სამსუნი[3]. თურქეთის ძირითადი სავაჭრო პარტნიორებია: გერმანია, აშშ, იტალია, რუსეთი, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, იაპონია, საუდის არაბეთი და სხვ. სწრაფი ტემპით მიმდინარეობს ყოფილი საბჭოეთის ბაზრის ათვისება. GAP თურქეთში დიდი ყურადღება ექცევა GAP (სამხრეთ–აღმოსავლეთ ანატოლიის პროექტი) რომელმაც უნდა გადაჭრას ქვეყნის ბევრი პრობლემა.

თავისუფალი ეკონომიკური ზონები

[2] ზ. ბატიაშვილი, თანამედროვე თურქეთი ბიულეტენი N12 1998 ივლისი გვ.13-20

[3] ზ. ბატიაშვილი, თანამედროვე თურქეთი ბიულეტენი N12 1998 ივლისი გვ.15-17

თურქეთში 1985 წლის 6 ივნისს ძალაში შევიდა კანონი „თავისუფალი ზონების შესახებ“ N 3218 ამ დღის შემდეგ წარმატებით დაიწყო საქმიანობა თურქეთის ექვსმა თავისუფალმა ზონამ ანტალიაში, მერსინში, იზმირში–ეგეოსის რეგიონში, სტამბოლში–ათათურქის სახელობის აეროპორტში, ტრაპიზონსა და სტამბოლში. შემდეგში ზუსტად განისაზღვრა ადანა–იმურთალიქის, სტამბოლ–თრაკიის ზონგულდაქ–ფილუროსის, მარდინის აღმოსავლეთ ანატოლიის თავისუფალი ზონების და სტამბოლის ათათურქის სახელობის აეროპორტის თავისუფალი ზონის საზღვაო საბანკო ცენტრის ადგილმდებარეობა და საზღვრები. 1994 წლის ოქტომბრის ბოლოსთვის ამ 6 თავისუფალ ზონაში ვაჭრობის საერთო მოცულობამ გადააჭარბა 4,3 მლრდ დოლარს, რაც 1,586 მლრდ დოლარით მეტი გამოდგა 1993 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით ანუ ის გაიწზარდა თითქმის 99%–ით.[4]

თავისუფალი ეკონომიკური ზონების ჩამოყალიბება და განვითარება მიმდინარეობდა „Buld Operate and Transfer”–ის ფარგლებში. ამ მოდელის მიხედვით, ანატოლიის და მერსინის თავისუფალ ზონებში, თურქეთის მთავრობა უზრუნველყოფს ტერიტორიის გამოყოფის საკითხს და პასუხისმგებლობას ი ღებს ზონებში სუპერსტრუქტურების განვითარებაზე. ასევე ამ მოდელის მიხედვით, ეგეოსის, სტამბოლთრაკიის, ტრაპზონის, ადანა–იუმურთალიქის და სტამბოლის ზონები ვითარდებიან კერძ სექტორის მიერ მასში მიმდინარე ოპერაციები, რომლებიც ხორციელდება კერძო მესაკუთრეების ან მესაკუთრე–დამფუძნებლების მიერ, რეგულირდებიან ქვეყნის მინისტრთა საბჭოს მიერ გამოცემული განკარგულებების საფუძველზე ეგეოსის, ადანა–იუმორთალიქის და ტრაპზონის თავისუფალ ზონებში ჩამოყალიბებულ და მოქმედ კერძო კომპანიების სააქციო კაპიტალში დიდია უცხოური კაპიტალის წილი. ამ ზონებში მოქმედ კომპანიებში ეს მაჩვენებელი შესაბამისად შეადგენს 96,4%,25% და 94%–ს. თურქეთის სტრატეგიული მდებარეობა აძლევს მას ბრწყინვალე შესაძლებლობას ურთიერთობები ჰქონდეს არა მარტო მის ტრადიციულ სავაჭრო პარტნიორებთან ახლო აღმოსავლეთის და ევროპის

[4] იქვე, გვ.20

რეგიონებიდან, არამედ აღმოსავლეთ ევროპის, დსთ–ს და ცენტრალური აზიის ახლად დაარსებულ რესპუბლიკებთან, ისევე როგორც თურქეთის შიდა 63 მილიონიან ბაზრის წარმომადგენლებთან თურქეთის თავისუფალი ზონები მოიცავენ 370 ჰექტარის ტერიტორიას. ინვესტორები თავისუფალნი არიან მათი საკუთარი სახსრების განაწილებაში ზონებში მისაღებ რენტის საფასურად შეიძლება სასამსახურო ოფისის დაქირავება. თურქეთის თავისუფალ ზონებში ყველა სახის სამრეწველო (სტამბოლის ათათურქის სახელობის აეროპორტის და ტრაპიზონის თავისუფალი ზონების გარდა), კომერციული და სასერვისო მომსახურების საქმიანობა ხორციელდება, ისევე როგორც მანუფაქტურული, შენახვის, საერთო სავაჭრო, საბანკო და სადაზღვევო საქმიანობანი.

პროდუქციის ძირითადი სახეებია:

- ელექტრონული მოწყობილობანი და დამატებანი, ოპტიკა,
- მზა ტანსაცმელი, ტყავის ქურთუკები და ტექსტილი
- მზა საკვები პროდუქტები
- ქიმიური პროდუქცია
- საავიაციო და მანქანათმშენებლობის მრეწველობის პროდუქციის დამატებითი და სათადარიგო ნაწილები

რამდენიმე თურქეთის თავისუფალი ზონის მოკლე მიმოხილვა.

ეგეოსის თავისუფალილ ზონა. ამ ზონას გააჩნია საერთაშორისო დონის შესაბამისი საექსპორტო ინფრასტრუქტურა. რეგიონში პირველ და ქვეყანაში მესამე ყველაზე დიდი ქალაქია იზმირი, რომელიც თავის მხრივ წარმოადგენს სკმაოდ დიდ ინდუსტრიულ, სავაჭრო და კულტურულ ცენტრს. სტამბოლის შემდეგ, თავისი ეკონომიკური განვითარებით ის მეორე ადგილზე მდებარეობს. ქალაქში იოლად მოხვდება ნებისმიერი პიროვნება სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო ტრანსპორტით. თავისუფალი ეკონომიკური ზონა მდებარეობს ქ. იზმირიდან 4 კმ–ში. ეგეოსის ეკონომიკური ზონა თურქეთში პირველ სავაჭრო ცენტრს წარმოადგენს, რომელიც ვითარდება და იმართება კერძო კომპანიების მიერ. ზონას უკავია 2,2 კვ.კმ, სადაც განთავსებულია თანამედროვე სამრეწველო მოწყობილობანი, საოფისე და

სავაჭრო მიზნების საჭიროებისათვის გამოსაყენებელი შენობები. ეს ზონა დაარსდა და ფუნქციონირებს „ESBAS-EGE" კომპანიის მიერ, რომელიც არის ზონის როგორც დამფუძნებელი, ისე ოპერატორი ფირმა, სადაც განთავსებულიაპ უცხოური კაპიტალის 96,4%

სტამბოლის ათათურქის სახელობის აეროპორტის თავისუფალი ზონა. ზონა მდებარეობს ათათურქის სახელობის საერთაშორისო აეროპორტის მახლობლად და უკავია სახელმწიფოებრივი ტერიტორიის 10 000 კვყკმ. მის ორ სექტორში არის 87 საოფისე ადგილი. მას დღემდე არ ჰყავს ოპერატორი ფირმა. ზონას განაგებს მისი დირექტორატი.

სტამბოლის ტყავის თავისუფალი ზონა. ამ ზონაში ძირითადი ყურადღება გამახვილებულია ტყავის მრეწველობის განვითარებაზე, თუმცაღა სხვა სახის სასაქონლო ოპერაციები არ არის აკრძალული. მასში მონაწილეობის მისაღებად განცხადებები საოპერაციო ლიცენზიებისათვის მოქმედებს 1994 წიდან. ზონა მოიცავს 88 000 კვ.კმ–ს, რომლის დამფუძნებელი და ოპერატორი ფირმაა :"BESBAS"–ის კომპანია

ტრაპიზონის თავისუფალი ზონა ტრაპიზონი მდებარეობს ქვეყნის სამხრეთ–აღმოსავლეთით, შავი ზღვის სანაპიროზე, მას გააჩნია ყველაზე თანამედროვე საზღვაო პორტი შავ ზღვაზე. მისი ზონა გახდა ყოფილ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებისათვის (მათ შორის საქართველოსთვის) მძლავრი სავაჭრო ცენტრი, ტრაპიზონის ზონა სთავაზობს დიდი მოცულობის და იოლად გამოყჰენებად შესანახ ადგილებს. ზონა მოიცავს საპორტო ტერიტორიის 44 400 კვ.კმ და უზრუნველყოფს 5 500 კვ. მეტრი ტვირთების შესანახ ფართობს. მას გააჩნია ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა–საავტომობილო მაგისტრალების, საჰაერო და საზღვაო ტრანსპორტის მიდგომის მხრივ. ზონის დამფუძნებელი ოპერატორია თურქულ–იაპონური ერთობლივი კომპანია "TRANSBAS" რომლის საწესდებო კაპიტალი 94% მოდის უცხოურ დაბანდებაზე საბჭოთა კავშირის დაშლისა და ჩვენი ქვეყნის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ თურქეთი იყო ერთ–ერთი პირველი სახელმწიფო, რომელმაც ცნო საქართველოს დამოუკიდებლობა და დაამყარა მასთან დიპლომატიური ურთიერთობები.

თურქულ–ქართული ურთიერთობების თანამედროვე ეტაპის დასაწყისად უნდა მივიჩნიოთ 1991 წლის 16 დეკემბერი, როდესაც ანკარამ ცნო თბილისის დამოუკიდებლობა. დიპლომატიური ურთიერთობები კი დამყარა 1992 წლის 21 მაისს თურქეთის მაშინდელი საგარეო საქმეთა მინისტრის ჰიქმეთ ჩეთინის თბილისში ვიზიტისას. 1992 წლის 30 ივლისს საქართველოში თურქეთის მაშინდელი პრემიერ–მინისტრ სულეიმან დემირელის ყოფნის დროს ხელი მოეწერა ძირითად ხელშეკრულებას მეგობრობის, თანამშრომლობისა და კეთილმეზობლობის შესახებ. ამ ხელშეკრულების რატიფიკაცია თურქეთის დიდმა ეროვნულმა კრებამ მოახდინა იმავე წლის 28 სექტემბერს, ხოლო საქართველოს პარლამენტმა უფრო მოგვიანებით, 1993 წლის 25 მარტს. საქართველომ და თურქეთმა თავიდანვე სწრაფად გამონახეს საერთო ენა. შედგა რამდენიმე უმაღლესი დონის შეხვედრა თბილისსა და ანკარაში. ურთიერთობების 6 წლის მანძილზე ფართო კავშირები დამყარდა და განვითარდა ყველასფერში, ამას ადასტურებს მრავალრიცხოვანი შეთანხმებების არსებობა. საქართველო აქტიურად მონაწილეობს თურქეთის ინიციატივით შექმნილ შავი ზღვის ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციისა და ამავე ქვეყნების საპარლამენტო ასამბლეის მუშაობაში (შესაბამისად 1992 წლის 25 ივნისიდან და 1993 წლის 4 თებერვლიდან–დაფუძნების დღეებიდანვე). თურქეთი თავის საგარეო პოლიტიკაში საქართველოსთან მიმართებაში აღიარებს მის ტერიტორიულ მთლიანობას და საზღვრების ურღვევობას, გმობს სეპარატიზმს და საშინაო საქმეებში ჩარევას, სავაჭრო კავშირების სფეროში შექმნილია უპირატესი ხელშეკრულების რეჟიმი, მხარეები ყოველწლიურად აღრმავებენ ურთიერთობას მეცნიერებისა და კულტურის სფეროებში, დამყარებულია კავშირები როგორც ცალკეულ უწყებებს, ასევე ცალკეულ ადმინისტრაიულ ერთეულებს შორისაც (იმერეთის მხარე და სამსუნის ილი, სამცხე–ჯავახეთი და არტაანის ილი და ა.შ.)

თავი II. საქართველო-თურქეთის პოლიტიკურ ეკონომიკური ურთიერთობები

2.1. თურქეთის სტრატეგია საქართველოსთან მიმართებაში

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ კავკასიის რეგიონი არ წარმოადგენდა მხოლოდ და მხოლოდ ეთნიკური კონფლიქტების საფუძველზეწარმოქმნილი ტერიტორიული პრობლემებისა და იმ გარე ფაქტორების ასპარეზს, რომლებიც ამ პრობლემებზე ახდენდნენ გავლენას. რეგიონს უაღ-რესად მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა კასპიის ნავთობისა და ბუნებრივი აირის რესურსების მსოფლიო ბაზარზე ტრანსპორტირების თვალსაზრისით.თურქეთი, რომელსაც კარგად ესმოდა კასპიის

რეგიონის ენერგორესურსების ეკონომიკური და სტრატეგიული მნიშვნელობა, ჯერ კიდევ 1990-იანიწლების დასაწყისიდან რეგიონსა და საერთაშორისო არენაზე ძალისხმევასარ იშურებდა, უპირველეს ყოვლისა, აზერბაიჯანის, შემდეგ კი ბაქო-თბი-ლისი-ჯეიჰანის ნავთობსადენით თურქეთის გავლით მსოფლიო ბაზრისთვის მიეწოდებინა კასპიის რეგიონის ნავთობი.

რუსეთი მძაფრად ეწინააღმდეგებოდა მისი ტერიტორიის გვერდის ავლით კასპიის ენერგორესურსების სატრანსპორტო მილსადენების მშენებლობას, რადგანაც სურდა ეს რესურსები შავიზღვისპირა ნოვოროსიისკისპორტის გავლით მიეწოდებინა მსოფლიო ბაზრისთვის, ამ გზით კი გა ეზარდა ან თავიდან მოეპო-ვებინა გავლენა კასპიის აუზის ქვეყნებზე. თურ ქეთმაგანაცხადა, რომ, გარემოს დაცვისა და უსაფრთოების თვალსაზრისით, სახიფათო იყო ბოსფორის გამოყენება ნავთობის ტრანსპორტირებისთვის დანოვოროსიისკთან დაკავშირებით რუსეთის გეგმის წინააღმდეგ გამოვიდა.თურქეთმა ბოსფორის სრუტეში ტანკერზე მომხდარი ავარია მაგალითადმოიყვანა და, გაეროს საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის დასტურით,მიიღო სრუტეების რეგლამენტი, რომელიც ბოსფორში მოძრაობის ახალ წესებს არეგულირებდა. აღნიშნული რეგლამენტი ძალაში შევიდა 1994 ივლისში. ამ რეგლამენტის მიღებისთანავე თურქეთმა განაცხადა, რომ კასპიის რესურსების ტრანსპორტირებასთან დაკავშირებით ყველაზე კარგ არჩევანს წარმოადგენდა ჯეიჰანის ტერმინალი და რუსეთთან კონკურენციაშიმნიშვნელოვანი უპირატესობა მოიპოვა. კასპიის ენერგორესურსების თურქეთის გავლით ტრანსპორტირების საკითხი განსაკუთრებით აქტუალური გახდა 1994 წლის ოქტომბერში აზერბაჯანის საბადოებიდან ნავთობის მოპოვების შესახებ „საუკუნის შეთანხმების“ ხელმოწერის შემდეგ. ალიევმა „საუკუნის შეთანხმებაში“ რუსეთისკომპანია „ლუკოილს“ და თურ-ქულ კომპანია „TPAO„-ს შესაბამისად 10% და6.75% მისცა და რეგიონში ამ ქვეყნებს შორის კონკურენციის დაბალანსებას შეეცადა.[5] “საუკუნის შეთანხმების“ შემდეგ აზერბაიჯანული ნავთობის მსოფლიო ბაზრისთვის მიმწოდებელი ნათობსადენის მიმართულების საკითხში აშშ-ის მთავრობისა და დასავლური ნავთობკომპანიების ჩართვის შემდეგკონკურენციამ უფრო მძაფრი სახე მიიღო.

[5] https://www.academia.edu/13593450/ თურქეთის_საგარეო_პოლიტიკა_1990-2008

„საუკუნის შეთანხმების“ შემდეგ თურქეთს გაუჭირდა დასავლური კომპანიების დარწმუნება ბაქოსა დაჯეიჰანს შორის საკმაოდ ძვირადღირებული მილსადენის აშენებასთან დაკავშირებით. 1995 წლის დასაწყისში ბაქო-ჯეიჰანის მილსადენის საკითხზეთურქეთის რეკომენდაციამ ყველაზე მნიშვნელოვანი მხარდაჭერა მიიღოაშშ-ის მთავრობისგან, რომელსაც მანამდე მილსადენებთან დაკავშირებითპოზიცია ღიად არ გამოუხატავს. აშშ-ის მთავრობამ განმარტა, რომ კასპიისენერგორსურსების ტრანსპორტირებასთან დაკავშირებით მხარს დაუჭერდა ერთზე მეტ მილსადენს, მაგრამ ბაქო-ჯეიჰანის მილსადენს მხარდაჭერას უცხადებდა ტექნიკური, ეკონომიკური, გარემოს დაცვისა და პოლიტიკური მიზეზებით. გარდა ამისა, აშშ-ის მთავრობამ თურქეთს განუცხადა,რომ იგი არ ემხრობა ბაქო-ჯეიჰანის მილსადენის ირანის გავლით აშენებას და უპირატესობას ანიჭებს საქართველოს ან სომხეთის ტერიტორიაზე მისგატარებას. აშშ განმარტავდა, რომ ბაქო-ჯეიჰანის მილსა დენი საქართვე-ლოს გავლით აშენდება თუ სომხეთის გავლით, ამის შესახებ გადაწყვეტი-ლება უნდა მიიღოს აზერბაიჯანის მთავრობამ და კონსორციუმმა (აზერბა-იჯანის სა ერთა შორისო ოპერაციათა კომპანია -AUİŞ), რომელიც ნავთობსმოიპოვებს .[6] აშშ-ის მხარდაჭერის მიღების შემდეგ თურქეთი ეცადა, დაერწმუნე-ბინა აზერბაიჯანის საერთაშორისო ოპერაციათა კომპანია ბაქო-თბილისი- ჯეიჰანის მილსადენის აშენების საკითხში. აღნიშნული კომპანიის წევრები – დასავლური ნავთობკომპანიები „ბიპი“ და „ექსონ-მობილი“ კარგა ხნის განმავლობაში ემხრობოდნენ იდეას, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნაცვლად, ძირითად სატრანსპორტო მილსადენად გამოეყენებინათ საბჭოთა კავშირის პერიოდიდან შემორჩენილი ბაქო-სუფსისა და ბაქო-ნოვოროსიისკისნავთობსადენები. რუსეთმა კი კასპიის ნავთობის ტრანსპორტირებისთვის დღის წესრიგში დააყენა ეგეოსის ზღვის (ბულგარეთი და საბერძნეთი) მიმართულება. რუსეთმა თავისი რეკომენდაციას გასამყარებლად კასპიისზღვის სტატუსი და PKK-სთან დაკავშირებული თურქეთის პრობლემები გამოიყენა და განაცხადა, რომ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი ძვირადღირებული დადაუც-ველი იქნებოდა. გარდა ამისა, რუსეთმა ძალისხმევა არ დაიშურა მეორე მილსადე-

[6] იქვე

ნის გან ხორციელების საკითხთან დაკავშირებით, რომლითაც განხორციელდებოდა ყაზახეთის თენგიზის საბადოდან დღეში 1.5 მილიონი ბარელი ნავთობის ტრაბსპორტირება (კასპიის მილსადენის კონსორციუმი) და ამგვარად ეცადა მომავალში ყაზახეთიდან ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენისთვის დამატებით ნავთობის მიწოდების შანსი შეემცირებინა[7]. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენთან დაკავშირებით თურქეთის რეკომენდაცია კიდევ უფრო გააძლიერა აშშ-ის მთავრობისა და აზერბაჯიანის მხარდაჭერამ, ასევე ყაზახეთიდან ამ მილსადენით დამატებითი ნავთობის ტრანსპორტირების შესაძლებლობამ. ამგვარად, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის განხორციელების მიზნით, 1998 წლის ოქ ტომბერში მხა-რეების სტატუსით თურქეთის, აზერბაიჯანის, საქართველოს, ყაზახეთისადა უზბეკეთის პრეზიდენტების მიერ, ასევე დამკვირვებლის სტატუსით აშშ-ის ენერგეტიკის მინისტრის მიერ ხელმოწერილ იქნა „ანკარის დეკლარაცია“, ხოლო 1999 წლის ნოემბერში ეუთოს სტამბოლის სამიტზე ბაქო-თბი-ლისი-ჯეიჰანისა და რეგიონის გაზ სადენების პროექტების განხორციელების მიზნით სამი მასპინძელი ქვეყნის მიერ ხელმოწერილ იქნა შეთანხმებაფიქსირებული ფასით ჩაბარებასთან დაკავშირებით, თურქეთის მთავრობამკი ხელი მოაწერა საგარანტიო შეთანხმებას.

ამ შეთანხმებებით თურქეთმა აიღო ვალდებულება ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის კომერციული თვალსაზრისით კონკურენტუნარიანობის მიზნით აენაზღაურებინა ნავთობსადენის თვითღირებულება, თუ იგი აღემატებოდა 2.7 მილიარდ დოლარს. გარდა ამისა, აღნიშნული შეთანხმებებით გათვალისწინებული იყობაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის მშენებლობლობის დასრულება 4.5 წელიწადში.[8]

სომხეთის მიზეზით დაწყებული მთიანი ყარაბაღის პრობლემისა და ე.წ. სომეხთა გენოციდთან დაკავშირებული პრეტენზიების ერთ-ერთ მიზანს წარმო-ადგენდა, ხელი შეეშალა თურქეთისთვის აზერბაიჯანსა და შუა აზიის რესპუბ-ლიკებთან უფრო მჭიდრო ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალურ-კულტუ-

[7] თურქეთის საშინაო და საგარეო პოლიტიკა რეგიონული უსაფრთხოების კონტექსტში 2017 / 05 / 22 https://www.gfsis.org/ge/blog/view/710

[8] https://www.academia.edu/13593450/ თურქეთის_საგარეო_პოლიტიკა_1990-2008

რული ურთიერთობების დამყარებაში. ამ მიზეზით რეგიონში საქართველომ თურქეთისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა. მსგავსი სახით თურქეთიც საქართველოსთვის მნიშვნელოვანი იყო რუსეთის ეკონომიკური და პოლიტიკური წნეხისაგან გასათავისუფლებლად და დასავლეთთან დასაკავშირებლად.

დაპირისპირება აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთის რეგიონებსა და ცენტრსშორის, რომელიც 1990-იანი წლების დასაწყისიდან ეთნიკურ კონფლიქტში გადაიზარდა, წარმოადგენდა მნიშვნელოვან პრობლემას, რომელიც თურქეთის შეშფოთებას იწვევდა. საბჭოთა კავშირის დაშლამდე თურქეთი საქართველოში ეთნიკურ ნიადაგზე მიმდინარე კონფლიქტებს საბჭოთა კავშირის საშინაო საქმედ მიიჩნევდა. ჯერ ზ. გამსახურდიას, შემდეგ კი ედ. შევარდნაძის ხელისუფლებასთან დაპირისპირებული აფხაზები და სხვა მუსლიმი უმცირესობა თურქეთისგან საქართველოს ცენტრალური ხელისუფლებისწინააღმდეგ დახმარებას ელოდა. მიუხედავად იმისა, რომ აფხაზები თურქეთის საზოგადოების კავკასიური წარმოშობის ზოგიერთი ჯგუფებისგან დახმარების საკითხზე დადებითი პასუხის მინიშნებას იღებდნენ, თურქეთის მთავრობა მხარს უჭერდა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასდა თბილისთან კარგი ურთიერთობებს აგრძელებდა. მაგალითად, 1992-1993 წლებში სეპარატისტული აფხაზეთის მეთაური ვლადისლავ არძინბა არაერთხელ ეწვია თურქეთს, მაგრამ იგი არცერთმა თურქმა ოფიციალურმა პირმა არ მიიღო.[9]

თურქეთს სჯეროდა, რომ 1992 წლის ივნისში მისი ინიციატივით შექმნილ „შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციას“ შეეძლო ნიადაგი მოემზადებინა საქართველოში არ სებული ეთნიკური კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოსაგვარებლად და ამ მიზნის განსახორციელებლად თურქეთმა ძალისხმევა არ დაიშურა.

მაგრამ, თურქეთის მცდელობები, მშვიდობიანი გზით მოეგვარებინა საქართველოში ეთნიკურ ნიადაგზე მიმდინარე სეპარატისტული პრობლემები, როგორც შავიზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის ფარგლებში, ასევე ინდი-

[9] https://www.academia.edu/13593450/ თურქეთის_საგარეო_პოლიტიკა_1990-2008

ვიდუალური დიპლომატიური მოწოდებებით, უშედეგო გამოდგა. ამის უმთავრესი მიზეზი ეთნიკურ რეგიონებსა და თბილისის ხელისუფლებებს შორის დაპირისპირება იყო. გარდა ამისა, რუსეთის მიერ „ახლო საზღვარგარეთის“ პოლიტიკის ფარგლებში 1994 წლამდე საქართველოში რუსეთისსამხედრო ბაზებისა და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (დსთ) სახელით, სინამდვილეში კი, რუსული სამშვიდობო ძალების განთავსება, თურქეთის მიერ პრობლემის გადაჭრის ძალისხმევასა და სურვილსეწინააღმდეგებოდა. მიუხედავად საქართველოში უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი პრობლემებისა, სტრატეგიულად ვითარდებოდა. აზერბაიჯანსა და შუააზიის თურქულენოვან სახელმწიფოებთან დასაკავშირებლად საქართველოს თურქეთისთვის მეტად მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა. მეორე მხრივ,საქართველო დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა თურქეთს რუსეთის სამხედრო (რუსული სამხედრო ბაზები) და პოლიტიკური ზეგავლენისგან (დსთ) გასათავისუფლებლად და დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ დასავლურიორიენტაციის აღების თვალსაზრისით. მაგალითად, თურქეთ-საქართველოსსაზღვარზე არსებული სარფის სასაზღვრო-გამშვები პუნქტი საბჭოთა კავშირის შემდგომ პერიოდში ორ ქვეყანას, ასევე აზერბაიჯანსა და შუა აზიისთურქულენოვან რესპუბლიკებთან თურქეთის დამაკავშირებელ კომერციული ადგილად იქცა; მხოლოდ 1992 წელს კომერციული მიზნით თურქეთსყოფილი საბჭოთა კავშირის 800 ათასი მოქალაქე ეწვია და აქედან ნახევარისაქართველოდან შევიდა. 1993 წელს თურქეთსა და საქართველოს შორისსავაჭრო ბრუნვამ 56.3 მილიონი დოლარი, 1999 წელს კი – 207.5 მილიონი დოლარი შეადგინა და თურქეთი, რუსეთის შემდეგ, საქართველოს მეორესავაჭრო პარტნიორი გახდა.[10]

ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი, რამაც ხელი შეუწყო თურქეთ-საქართველოს შორის ურთიერთობების განვითარებას, აზერბაიჯანისა და, ზოგადად, კასპიის რეგიონის ნავთობისა და ბუნებრივი აირის საქართველოს გავლით თურქეთამდე ტრანსპორტირებისა და მსოფლიო ბაზრისთვის მიწოდებისთვის გაწეული

[10] გ ჯანდიერი, თურქულ-ქართული ეკონომიკური ურთიერთობები 2016 გვ.5-6

ძალისხმევა იყო. მას შემდეგ, რაც რეგიონში მილსადენების მიმართულების შერჩევის დროს ირანი და სომხეთი გამოირიცხა, თურქეთი ბევრს ეცადა, რომ ეს ფუნქცია საქართველოს შეესრულე ბინა. საქართველოს მთავრობამ ედ. შევარდ-ნაძის მეთაურობით, დიდი ინტერესი გამოიჩინა კასპიის ენერგორესურსების სატრან-სპორტო მილსადენების საქართველოს ტერიტორიის გავლით თურქეთისთვის მიწოდების მიმართდა ეს პროექტები საქართველოს უსაფრთოებისთვის სასი-ცოცხლო მნიშვნელობის მქონე საკითხად მიიჩნია, რადგანაც კასპიის ენერგო-რესურსების საქართველოს გავლით თურქეთისთვის მიწოდება საქართველოსთვის რუსეთის ეკონომიკური და პოლიტიკური გავლენისგან თავის დაღწევას ნიშნავდა. აზერბაიჯანისა და საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების დროიდან რეგიონში არსებული საერთო საფრთხე (რუსეთი და სომხეთი) და საერთო პრობლემები (სეპარატისტული რეგიონები) ის ფაქტორები იყო, რომლებმაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს თურქეთსადა საქართველოს შორის სტრატეგიული პარტნიორობის ჩამოყალიბებაში.

2.2. საქართველოს სტრატეგია თურქეთთან მიმართებაში

თურქეთის რესპუბლიკა ევრაზიული სახელმწიფოა, რომელიც მდებარეობს ანატოლიის ნახევარკუნძულზე, დასავლეთ აზიასა და თრაკიაში, (რუმელია) სამ-ხრეთ აღმოსავლეთ ევროპის, ბალკანეთის რეგიონში. ცნობილია, რომ ორ კონტინენტზე სტრატეგიული მდებარეობის გამო თურქეთის კულტურა აღმოსავ-ლეთისა და დასავლეთის ტრადიციათა უნიკალური ნაზავია. იდეალური გეოგრაფიული და გეოპოლიტიკური მდებარეობის გამო თურქთა სახელმწიფომ ბოლო საუკუნეებში განსაკუთრებული სტრატეგიული მნიშვნელობა შეიძინა.

მეოცე საუკუნის ისტორიამ უდიდესი გავლენა იქონია არაერთი დიდი ქვეყნის გეოპოლიტიკური მდგომარეობის განვითარების თავისებურებაზე. ამის ნათელი მაგალითია თუნდაც რუსეთის სახელმწიფო და მისი ,,რეგალიების" ცვლა საუკუნეთა მანძილზე. მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა ასევე დასავლეთ ევროპისა და აღმოსავლური (მაგ: თურქეთის) ქვეყნების გეოპოლიტიკური ფაქტორების

განვითარების თავისებურებებში[11]. ნებისმიერი ქვეყნის, იქნება იგი თურქეთის რესპუბლიკა, ამერიკის შეერთებული შტატები თუ საქართველო, გეოპოლიტიკური სიმძლავრეების ძირითადი კრიტერიუმებია: ტერიტორიის ზედაპირი; საზღვრების ბუნება; ზღვაზე გასასვლელი; მოსახლეობის რაოდენობა; ბუნებრივი რესურსები; ფინანსური სიძლიერე; ეკონომიკისა და ტექნიკის განვითარების დონე; ეთნიკური ერთგვაროვნება; სოციალური ინტეგრაციის დონე; პოლიტიკური სტაბილურობა და ეროვნული სული. საქართვცელო რომელიც ყველა მეზობელ ქვეყნებ თან ანვითარებს სხვადასხვა ფორმის რე გიონალიზმს: სოციალურ და ეკონომიკურ თანამშრომლობას, სახელმწიფოთაშორის თანამშრომლობას და რეგიონული ინტეგრაციასა და თანამშრომლობის ქსელს [12]. საქართველოს ეს როლი ცენტრალურ კავკასიაში და ევრაზიის კონტინენტზე განსაზღვრავს მის რეგიონული მნიშვნელობას და იდენტობას. ეს უკანასკნელი, ეკონომიკური თვალსაზრისით, ეფუძნება სავაჭრო და ეკონომიკურ ინტეგრაციას. საქართველო არის დასავლეთსა და სამხრეთს შორის ხიდი როგორც ეკონომიკურად, ასევე პოლიტიკურად. მას აქვს პერსპექტივები გახდეს ჩრდილო-ეთსა და აღმოსავლეთს შორის დამაკავშირებელი ქვეყანა. კონკრეტული გეოგრაფიულ არეალში მისი საერთო ტენდენციაა ინტერესების თანხვედრის ხელშეწყობა ყველა მეზობელ და პარტნიორი ქვეყნებთან ვაჭრობის ლიბერალიზაციის გზით და ღია რეგიონალიზმის გატარებით საგარეო პოლიტიკაში[13]. ამ ფუნქციის გაძლიერება საქართველოს გლობალური იდენტობის მნიშვნელოვანი ამოცანაა. თუმცა, მოუწესრიგებელი ურთიერთობები საქართველოს სეპარატისტულ რეგიონებთან და რთული ურთიერთობები რუსეთთან, აფერხებს მის, როგორც ახლად აღმოცენებული და განვითარებადი რეგიონალური მოთამაშის

[11] თურქეთის გეოპოლიტიკა XX საუკუნის 90 - იანი წლებიდან https://www.atsu.edu.ge/en/images/pdf/disertaciebi/disertacia_chigvaria.pdf

[12] Hurrell, A. Regionalism in Theoretical Perspective, in Louise Fawcett and Andrew Hurrell (ed.), Regionalismin World Politics.Oxford: Oxford University Press. 1995. PP.39-45

[13] Bergsten, F. Open Regionalism, Working Paper 97-3, 1997. Peterson Institute for International Economics. http://www.iie.com/publications/ wp/wp.cfm?ResearchID=152

როლს[14].

გასული 20 წლის განმავლობაში, საქართველოს ჰქონდა ეკონომიკის აღმავლობის, სისტემური რეფორმებისა და დაცემის პერიოდები. საქართველოში გატარდა მრავალი რეფორმა ეკონომიკის რეორგანიზაციის, ლიბერალიზაციისა და სავაჭრო წესების გამარტივების მიმართულებით. გამარტივდა თავისუფალი კონკურენციის ბარიერები. დაიდო თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებები მეზობელ ქვეყნებთან. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საქართველოს აქვს ყველაზე დაბალი ტარიფი მსოფლიოში. საშუალოდ MFN ტარიფი 1.4 პროცენტია[15]. მიუხედავად იმისა, რომ გარკვეულ წინსვლას ჰქონდა ადგილი ეკონომიკური ინტეგრაციის მიმართულებით, ცენტრალურ კავკასიაში არსებული „გაყინული" ეთნიკური და პოლიტიკური კონფლიქტები და იზოლირებული შიდა ბაზრები განაპირობებენ რეგიონის დაბალი კონკურენტუნარიანობას[16]. ცენტრალურ კავკასიაში სავაჭრო და ეკონომიკური ურთიერთობების სტრატეგიული ვექტორებია: 1. საქართველოსთვის _ დასავლეთი და ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობა; 2. სომხეთისთვის _ რუსეთთან ერთობლივი საბაჟო კავშირი (ევრაზიის ეკონომიკური კავშირი). 3. თურქეთი და აზერბაიჯანი როგორც საქართველოს მთავარი ეკონომიკური პარტნიორები და კონკურენტები ქართულ ბაზარზე.

ერთ-ერთი ახალი ეკონომიკური მოთამაშე ცენტრალურ კავკასიაში გახდა თურქეთი. იგი საქართველოში არის შიდა სამომხმარებლო ბაზრის ლიდერი. მისი სავაჭრო წილი იზრდება საქართველოს რეგიონებში, მათ შორის, აფხაზეთის ტერიტორიაზე. მიუხედავად იმისა, რომ თურქეთი აღიარებს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და მის კანონმდებლობას, მისი ვაჭრობა აფხაზეთის ტერიტორიაზე არალეგალურ ხასიათს ატარებს. ბოლო წლებში საქართველოს ეკონომიკური ურთიერთობები

---

[14] მ. თოქმაზიშვილი საქართველოს რეგიონული იდენტობის პოლიტიკური ეკონომია. სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი»გლობალიზაცია და ბიზნესი" N1 სპეციალური გამოშვება თბილისი 2016 19 ივნისი გვ.47-48

[15] http://www.wto.org/ english/thewto_e/countries_e/georgia_e.htm

[16] Tokmazishvili, M. New Realities in the South Caucasus: Georgia-EC, Armenia-CU: Contradictions and Opportunities for Cooperation. In the book: Russia-Georgia: Challenges and Perspectives in the Economic Sector. ICCN, RIAC. Tbilisi. 2014

ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან თანდათან გაფართოვდა. ეს კავშირები ძალიან მგრძნობიარეა კავკასიის ქვეყნებისთვის. იგი ხელს შეუწყობს საინვესტიციო შესაძლებლობების გაზრდას, სხვა მეზობელი ქვეყნების შესვლას ევროპულ ბაზრებზე საქართველოში დამზადებული პროდუქციის სახელწოდებით: „წარმოებულია ევროპაში“. იგი არის ინსტიტუციონალური ინსტრუმენტი მოიზიდოს სხვა ქვეყნები.

თავი III. სავაჭრო ურთიერთობა საქართველოსთან

3.1. თურქეთ-საქართველოს ურთიერთობები თანამედროვე ეტაპზე

რაც შეეხება უშუალოდ თურქეთისა და საქართველოს თანამედროვე ურთიერთობებს, საჭიროა ითქვას, რომ ჯერ კიდევ 1923 წელს, მუსტაფა ქემალ ათათურქი თავის ხალხს ყოველთვის მოუწოდებდა საქართველოსთან კეთილმეზობლობის აუცილებლობაზე. მიმდინარე ეტაპზე კი, თურქეთის რესპუბლიკა ამერიკის შეერთებულ შტატებთან და უკრაინასთან ერთად წარმოადგენს საქართველოს მთავარ მოკავშირე და პარტნიორ ქვეყანას, რაც აისახება როგორც სამხედრო და პოლიტიკურ, ასევე ეკონომიკურ სფეროებში დახმარებით. 1992 წლის 30 ივლისს საქართველოსა და თურქეთს შორის დაიდო მეგობრობისა და კეთილმეზობლობის პირველი სრულმაშტაბიანი ხელშეკრულება.: განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის დარგში ურთიერთთანამშრომლობაზე[17]. ხელშეკრულება ჩვიდმეტი მუხლისაგან შედგება და ჩვენი ხალხების საერთო-კულტურულ განვითარებასა და სხვადასხვა დარგებში ფართო თანამშრომლობას ითვალისწინებს. ამ ხელშეკრულების საფუძველზე 1993 წელს თბილისში გაიხსნა კოლეჯი. სასწავლებელს წილად ხვდა პატივი, ეტარებინა თურქეთის რესპუბლიკის იმჟამინდელი პრეზიდენტის სულეიმან დემირელის სახელი. 1995 წელს, კერძო კოლეჯთან დაწყებითი სკოლაც შეიქმნა. შემდგომში აღნიშნული სკოლები გაიხსნა საქართველოს სხვა ქალაქებშიც. დღეისათვის კი უკვე საქართველოში ფუნქციონირებს თურქთა მიერ გახსნილი უმაღლესი სასწავლებელი, რომელსაც მსოფლიოში ,,თბილისის შავი ზღვის უნივერსიტეტის" სახელწოდებით იცნობენ.

თურქეთსა და ჩვენს ქვეყანას

[17] თურქეთის გეოპოლიტიკა XX საუკუნის 90 - იანი წლებიდან https://www.atsu.edu.ge/en/images/pdf/disertaciebi/disertacia_chigvaria.pdf

შორის საგამანათლებლოსამეცნიერო კონტაქტების, მრავალსაუკუნოვანი ქართულაღმოსავლური ურთიერთობების შემდგომი გაფართოების თვალსაზრისით, ასევე უაღრესად მნიშვნელოვანი იყო 1994 წელს ხელმოწერილი საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის განკარგულება ,,საქართველოში აღმოსავლური ენების სწავლების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ". 1996 წლის 4 აპრილს თურქეთის რესპუბლიკასა და საქართველოს შორის ხელი მოეწერა შეთანხმებას სამხედრო წვრთნის, ტექნიკისა და მეცნიერების სფეროში ურთიერთანამშრომლობის შესახებ. აღნიშნული ხელშეკრულების შემდეგ სამხედრო სფეროში თურქეთ-საქართველოს ურთიერთობები მრავალი ასპექტით ვითარდება, რაც გამოიხატება მატერიალურ-ტექნიკურ დახმარებაში, კადრების მომზადებაში, ასევე სხვა სამხედრო პროგრამების განხორციელებაში. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია საქართველოს გაერთიანებული სამხედრო აკადემიის რეფორმა, კოსოვოში თურქეთის სამშვიდობო ბატალიონში ქართული ოცეულის მონაწილეობა, ასევე მნიშვნელოვანია თურქეთის გრანტის პროგრამა საქართველოსათვის სამხედრო სფეროში და მისი მხარდაჭერა ევრო-ატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციის გზაზე და სხვა[18].

თურქეთ-საქართველოს ურთიერთობებში უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია ენერგოპროექტების განხორციელებას. სწორედ ბაქოთბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენისა და ბაქო-თბილისი-ერზრუმის გაზსადენის საკითხები წარმოადგენდა თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრის აბდულაჰ გიულის ვიზიტის ძირითად მიზანს საქართველოში. ამასთან დიდი მნიშვნელობა ენიჭება ყარსიახალქალაქის რინიგზის მშენებლობის საკითხს, რომელიც ერთმანეთთან დააკავშირებს აზიისა და ევროპის ბაზრებს.

2004 წლის თებერვალში საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის თედო ჯაფრიძის ანკარაში ვიზიტის დროს მხარეებმა განიხილეს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პარალელური მილსადენის მშენებლობის საკითხი, რომელიც უზრუნველყოფს რუსული ნავთობის ევროპისაკენ ტრანსპორტირებას. საქართველოში

[18] თურქეთის გეოპოლიტიკა XX საუკუნის 90 - იანი წლებიდან https://www.atsu.edu.ge/en/images/pdf/disertaciebi/disertacia_chigvaria.pdf

2003 წლის ნოემბრის თვეში განვითარებული მოვლენების ფონზე, თურქეთი იყო ერთ-ერთი პირველი სახელმწიფო, ომელმაც მზადყოფნა გამოთქვა, თანამშრომლა ახალ ხელისუფლებასთან და იმედიანად განაცხადა, რომ ორ ქვეყანას შორის არსებული ურთიერთობები კვლავ დარჩება კეთილმეზობლური და წარიმართება სტრატეგიული პარტნიორობის პრინციპით. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია ის ფინანსური დახმარებაც, რომელიც თურქეთმა გაუწია საქართველოს ,,ვარდების რევოლუციის" შედეგად, ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარებისათვის. ზემოთ აღნიშნულთან ერთად საგულისხმოა, რომ თურქეთი კვლავ გახლდათ პირველი სახელმწიფო, რომელმაც მისი გეოგრაფიული მდებარების გამო, 2008 წლის აგვისტოში პირველმა გაუწია საქართველოს რუსეთთან ომის მსვლელობის დროს ჰუმანიტარული დახმარება და მეომარ მხარეებს ომის შეწყვეტისაკენ მოუწოდა. ვარდების რევოლუციისა და 2004 წელს საქართველოს პრეზიდენტად მიხეილ სააკაშვილის არჩევის შემდგომ ეს ურთიერთობები უფრო გააქტიურდა. 2005 წელს ორივე სახელმწიფომ ერთმანეთის მოქალაქეებისთვის სამ თვემდე ვადიანი ტურისტული ვიზების აღების აუცილებლობა გააუქმა, 2012 წლიდან კი, ორივე ამ სახელმწიფოს მოქალაქეებს საერთო საზღვრის გადასაკვეთად საერთაშორისო პასპორტის ქონაც კი აღარ სჭირდებათ, საამისოდ პირადობის მოწმობაც საკმარისია[19].

საქართველომ 2007 წელს თურქეთთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება დადო. 2013 წლის ნოემბრიდან თურქეთთან მჭიდრო ურთიერთობა ძველებურად გააგრძელა. თურქული კომპანიები ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის საქმეში ძველებურად ლიდერობენ, თბილისი და ანკარა 2015 წლის იანვარში საბაჟო საქმიანობაში თანამშრომლობის გაღრმავებაზე შეთანხმდნენ[20].

თურქეთსა და საქართველოს შორის არსებული ურთიერთობებისთვის დიდი მნიშვნელობა უსაფრთხოების, სამხედრო და ინფრასტრუქტურის სფეროებს აქვს. ინფრასტრუქტურის პროექტი თურქულ ყარსსა

[19] Diba Nigar Göksel: Turkey and Georgia: Zero-Problems? German Marshall Fund of the United States (GMFUS) Policy Brief, June 2013, <www.gmfus.org/publications/turkey-and-georgiazero-problems>

[20] Georgia, Turkey agree to intensify customs cooperation, in: Trend news agency, 30.1.2015, <http://en.trend.az/scaucasus/georgia/2358763.html>.

და ქართულ ახალქალაქს შორის სარკინიგზო კავშირი გახლავთ, რომელიც ამიერკავკასიის რკინიგზის ბაქო-თბილისის მონაკვეთს შეუერთდება.[21]

საქართველოსა და თურქეთს შორის თანამშრომლობა სტრატეგიულ ხასიათს ატარებს და წარმატებით ვითარდება, როგორც პოლიტიკურ, ასევე სავაჭრო-ეკონომიკურ და კულტურულ-ჰუმანიტარულ სფეროებში. ორ ქვეყანას შორის არსებული სახელშეკრულებო-სამართლებრივი ბაზა მოიცავს 76 მოქმედ ხელშეკრულებას და თანამშრომლობის თითქმის ყველა სფეროს არეგულირებს[22]. აქტიურია ვიზიტების ურთიერთგაცვლა როგორც აღმასრულებელი, ასევე საკანონმდებლო ორგანოების დონეზე. ორი ქვეყნის მოქალაქეები სარგებლობენ მიმოსვლის გამარტივებული რეჟიმით, პირადობის მოწმობების საფუძველზე. თურქეთი საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორია, რომელთანაც მოქმედებს თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი. თურქეთის კერძო სექტორი საქართველოს ეკონომიკაში ერთ-ერთი უმსხვილესი ინვესტორია. ამასთან, საქართველო დაინტერესებულია გაზარდოს ექსპორტი თურქეთის ბაზარზე. აღსანიშნავია საქართველო-თურქეთის ერთობლივი ძალისხმევით განხორციელებული ენერგეტიკული პროექტები, როგორიცაა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი, ბაქო-თბილისი-ერზერუმის გაზსადენი. წარმატებულად გრძელდება აქტიური თანამშრომლობა სამხრეთის ენერგეტიკული დერეფნის პროექტების განხორციელებისა და ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის პროექტის რეალიზაციისთვის.

მნიშვნელოვანია, რომ 2013 წელს დასრულდა და ფუნქციონირებს ახალციხე-ბორჩქას მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზი, რომელიც ახალ შესაძლებლობას ქმნის ელექტროენერგიით ვაჭრობის თვალსაზრისით.

---

[21] Samuel Lussac: The Baku-Tbilisi-Kars Railroad and its geopolitical Implications for the South Caucasus, in: Caucasian Review of International Affairs, 4/2008, <www.cria-online.org/ 5_5.html>. – Laut dem CEO der Firma Marabda-Kartsachi, die die Bauarbeiten durchführt, werden noch weitere zwei bis drei Jahre benötigt; Is the Baku-Tbilisi-Kars railway worth the fuss? Open Democracy, 2.11.2015, <www.opendemocracy.net/od-russia/yana-israelyan/isbaku-tbilisi-kars-railway-worth-fuss>.

[22]http://mfa.gov.ge/MainNav/ForeignPolicy/BilateralRelations/%E1%83%97%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%A5%E1%83%94%E1%83%97%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%9E%E1%83%A3%E1%83%91%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90.aspx

მნიშვნელოვანი პოლიტიკური მექანიზმია საქართველო-აზერბაიჯანი-თურქეთის სამმხრივი ფორმატი, რომელსაც 2012 წელს საგარეო საქმეთა მინისტრების მიერ ჩაეყარა საფუძველი („ტრაპიზონის დეკლარაცია“). აღნიშნული მექანიზმი ასევე მოიცავს თანამშრომლობის ფორმატებს პრეზიდენტების დონეზე, პარლამენტების საგარეო ურთიერთობათა კომიტეტებსა და თავდაცვის მინისტრებს შორის.

საქართველო-თურქეთის ურთიერთობა თვისობრივად ახალ საფეხურზე ავიდა თანამშრომლობის ახალი ფორმატის - მაღალი დონის სტრატეგიული თანამშრომლობის საბჭოს დაფუძნებით, რომლის პირველი შეხვედრა გაიმართა ანკარაში, 2016 წლის 19 ივლისს, პრემიერ-მინისტრების დოენზე. სხდომის ფარგლებში ხელი მოეწერა "ანკარის განცხადებას",[23] რომელშიც ასახულია საქრთველო-თურქეთის თანამშრომლობის ყველა ძირითადი მიმართულება წარმატებულად გრძელდება ორი ქვეყნის თანამშრომლობა განათლების სფეროში.

2014 წელს საქართველოს თურქეთში ექსპორტი 239 მილიონ აშშ დოლარს შეადგენდა. ამით თურქეთმა საქართველოდან ექსპორტირებული პროდუქტის რაოდენობით აზერბაიჯანის, სომხეთისა და რუსეთის შემდეგ მეოთხე ადგილი დაიკავა. საქართველოდან რუსეთში ექსპორტი 2014 წელს 274 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, მაგრამ 2005-2012 წლებში 100 მილიონ აშშ დოლარზე ბევრად ნაკლები იყო. 2015 წლის პირველი სამი კვარტლის მონაცემები[24] იმაზე მეტყველებს, რომ საქართველოდან რუსეთში 2015 წლის მთლიანი ექსპორტი 2014 წელთან შედარებით მნიშვნელოვნად ნაკლები იქნება.

საქართველოს საგარეო ვაჭრობა: ქართული ექსპორტის დანიშნულების ქვეყნები 1000 აშშ დოლარში[25]

---

[23]http://mfa.gov.ge/MainNav/ForeignPolicy/BilateralRelations/%E1%83%97%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%A5%E1%83%94%E1%83%97%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%9E%E1%83%A3%E1%83%91%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90.aspx

[24] Export Country 1995–2015, Geostat, <www.geostat.ge/cms/site_images/_files/english/bop/2015/Export%20Country_1995-2015_eng.xlsx>.

[25] წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური Geostat

შესამჩნევია თურქეთზე საქართველოს ეკონომიკური დამოკიდებულება იმპორტის სფეროში. 2014 წელის განმავლობაში საქართველომ თურქეთიდან 1,727 მილიარდი აშშ დოლარის ღირებულების საქონლის იმპორტირება მოახდინა. თურქეთიდან ყოველწლიური იმპორტის მთლიანი ღირებულება 2007 წლიდან - თურქეთ-საქართველოს-თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების ხელმოწერის წლიდან მოყოლებული - უფრო მაღალია, ვიდრე სხვა იმპორტირებული საქონლისა და მომსახურების მთლიანი ღირებულება.[26] თურქული კომპანიები საქართველოში, უპირატესად, ცენტრალური ინფრასტრუქტურის პროექტებში მონაწილეობენ. ასე მაგალითად, თურქულ კომპანიებს მრავალი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა ჩააბარეს. *Anadolu*-ჯგუფმა 2014 წელს დასრულებული ფარავნის ჰიდროელექტროსადგური ააშენა (მთლიანი მოცულობა: დაახლოებით 85 მეგავატი) და მის 90 პროცენტიან წილს ფლობს. მან მსგავსი ელექტროსადგური ხედულაში, ქვემო-სვანეთშიც უნდა ააგოს. *Calik*-ჰოლდინგმა მდინარე რიონზე სადმელისა და ალპანას კაშხლები, *Ahlatci*-ჯგუფმა კი სამეგრელო-ზემო სვანეთში დოლრას ელექტროსადგური უნდა ააშენოს[27]. ეს თანამშრომლობა იმ გეგმის ნაწილია, რომელიც მიზნად ისახავს, საქართველო არცთუ ისე შორეულ მომავალში ელექტროენერგიის გამომუშავების ადგილად აქციოს, რათა ეს ენერგია შემდგომ თურქეთში იქნეს ექსპორტირებული. ამას გარდა, სტამბოლში რეგისტრირებულ *TAV Havalimanlari Holding*-ს თბილისისა და ბათუმის აეროპორტების ინფრასტრუქტურა აბარია. ბათუმის აეროპორტის აფრენისა და დაფრენის ბილიკები, როგორც ექსტრა ტერიტორიული ტრასები, თურქეთის შიდა ფრენებისთვისაც კი გამოიყენება. ჩასხდომა და ჩამოსვლა კი 30 კილომეტრით მოშორებულ თურქულ სასაზღვრო ქალაქ Hopa-ში ხდება, რომელიც აეროპორტს ავტობუსის პირდაპირი ხაზის საშუალებით უკავშირდება. გარდა ამისა, თურქული ფირმები უპირატესად ვაჭრობის, სამშენებლო სექტორისა და სამკერვალო

[26] www.geostat.ge/cms/site_images/_files/english/bop/_ 2015/Import%20Country%201995-2015_eng.xlsx>.
[27]Valeri Modebadze Georgian – Turkish Relations since the Breakdown of Soviet Union https://www.academia.edu/7537738/Georgian_Turkish_Relations_since_the_Breakdown_of_Soviet_Union

ინდუსტრიის სფეროში გვხვდება.[28] თურქული კომპანიების სპექტრი მრავალ სექტორში მოღვაწეობის გარდა, მცირე და საშუალო საწარმოებსაც მოიცავს, მათ შორის, ცნობილი თურქული ფირმებისა, რომლებმაც საქართველოში დიდი თანხების ინვესტირება მოახდინეს.

მეორე მხრივ კი, თურქეთი ქართველი სამუშაო მიგრანტებისთვის მნიშვნელოვანი სამიზნე ქვეყანაა. გეოგრაფიული სიახლოვისა და სამი თვის განმავლობაში უვიზოდ გაჩერების შესაძლებლობის გამო, საქართველოდან თურქეთში მისვლა-მოსვლის სახის მიგრაციასთან გვაქვს საქმე. თურქეთში ძირითადად ქალები ჩადიან ტურისტული ვიზებით ოჯახის ქალებად სამუშაოდ. მამაკაცები კი მეტწილად სეზონურ სამუშაოზე მუშაობენ, მშენებლობაზე, ანდა სოფლის მეურნეობაში. ასეთი სახის დასაქმებულთა სტატისტიკური აღრიცხვა ძნელია, მაგრამ არსებობს თურქეთის კულტურისა და ტურიზმის სამინისტროს მონაცემები: 2014 წელს ქართული პასპორტით თურქეთის მიმართულებით 1,75 მილიონმა ადამიანმა გადაკვეთა საზღვარი. თურქეთის რესპუბლიკა უკანასკნელი წლების განმავალობაში წარმოადგენს საქართველოს ერთ-ერთ უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორ ქვეყანას. საქართველოს თურქეთთან სავაჭრო ბრუნვის წილი საქართველოს მთლიანი სავაჭრო ბრუნვის 16%-ს შეადგენს, რითაც დასტურდება სავაჭრო ურთიერთობების მოცულობის ზრდის ტენდენცია[29] .

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2017 წლის ანგარიშის მიხედვით საქართველოში საგარეო სავაჭრო ბრუნვამ არადეკლარირებული ვაჭრობის გარეშე 10 707.4 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 13.8 პროცენტით მეტია. აქედან ექსპორტი 2 728.0 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს (29.1 პროცენტით მეტი), ხოლო იმპორტი 7 979.4 მლნ. აშშ დოლარს (9.4 პროცენტით მეტი).საქსტატის ინფორმაციით, 2017 წელს საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვამ ევროკავშირის ქვეყნებთან 2 844.0 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის მაჩვენებელზე 2.0

[28] Ivane Chkhikvadze: Zero Problems With Neighbors: The Case Of Georgia, in: Turkish Policy Quarterly, 2/2011, გვ. 6;

[29] https://commersant.ge/ge/post/saqartvelo-turqets-shoris-ekonomikuri-da-vachrobis-komisiis-dafudznebis-shesaxeb-deklaracia-gaformda

პროცენტით მეტია. აქედან ექსპორტი 646.5 მლნ. აშშ დოლარი იყო (13.0 პროცენტით მეტი), ხოლო იმპორტი 2 197.5 მლნ. აშშ დოლარი (0.8 პროცენტით ნაკლები). საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი თურქეთია (1 589.4 მლნ. აშშ დოლარი), მეორე ადგილს რუსეთი იკავებს (1 183.7 მლნ. აშშ დოლარი) ხოლო მესამე პოზიცია ჩინეთს ეკუთვნის. 2017 წელს ათი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 66.7 პროცენტი შეადგინა.

საქსტატის წლიური ანგარიშის მიხედვით 2017 წელს, სასაქონლო ჯგუფებიდან, საექსპორტო ათეულში პირველი ადგილი სპილენძის მადნებმა და კონცენტრატებმა დაიკავა, 419.8 მლნ. აშშ დოლარი და მთელი ექსპორტის 15.4 პროცენტი შეადგინა. ფეროშენადნობების ექსპორტი 306.9 მლნ. აშშ დოლარს და შესაბამისად, მთლიანი ექსპორტის 11.3 პროცენტს უდრიდა. მესამე ადგილზე მსუბუქი ავტომობილების ჯგუფი იმყოფებოდა. ამ სასაქონლო ჯგუფის ექსპორტმა 234.9 მლნ. აშშ დოლარი და მთელი ექსპორტის 8.6 პროცენტი შეადგინა. უმსხვილეს საექსპორტო ქვეყნებში რუსეთი ლიდერობს, მას მოჰყვება აზერბაიჯანი, მესამე ადგილი კი თურქეთს ერგო, მეოთხე-მეხუთე ადგილს სომხეთი და ჩინეთი ინაწილებენ, შემდეგ მოჰყვება ბულგარეთი, უკრაინა, აშშ, ირანი და ბოლო მეათე ადგილს რუმინეთი იკავებს.

დიაგრამა 3.1. საგარეო ვაჭრობის ზოგადი მაჩვენებლები 2014-2019 წწ. იანვარ-მარტში (მლნ. აშშ დოლარი)[30]

[30]სასქონლით საგარეო ვაჭრობა https://www.geostat.ge/media/23242/saqonlit-sagareo-vachroba_saqartveloshi-19.04.2019-%28geo%29.pdf გვ.1



რაც შეეხება იმპორტს უმსხვილესი საიმპორტო სასაქონლო ჯგუფი 2017 წელს ნავთობი და ნავთობპროდუქტები იყო, რომლის იმპორტმა 696.6 მლნ. აშშ დოლარი და მთელი იმპორტის 8.7 პროცენტი შეადგინა. მეორე ადგილზე იმყოფებოდა მსუბუქი ავტომობილების სასაქონლო ჯგუფი 474.4 მლნ. აშშ დოლარით, რაც იმპორტის 5.9 პროცენტი იყო. მესამე ადგილზე ნავთობის აირების სასაქონლო ჯგუფი დაფიქსირდა 350.4 მლნ. აშშ დოლარით (იმპორტის 4.4 პროცენტი). ათი უმსხვილესი საიმპორტო ქვეყნის სია შემდეგნაირად გამოიყურება: თურქეთი, რუსეთი, ჩინეთი, აზერბაიჯანი, უკრაინა, გერმანია, სომხეთი, აშშ, იტალია, რუმინეთი.

დიაგრამა N3.2. 2014-2019 წწ. იანვარ-მარტის საგარეო ვაჭრობის მაჩვენებლების წილი ბრუნვაში (%)



საქართველოს საგარეო ვაჭრობაში ჩამოყალიბებულ ზოგად ტენდენციებს ასახავს დიაგრამა N3.1. 2014-2019 წლების დინამიკური მწკრივის მიხედვით.

3.2. სავაჭრო ურთიერთობების შედეგები საქართველოსთვის

საქართველო მრავალმხრივი საგარეო ეკონომიკური ურთი-ერთობების ქვეყანაა, თანამშრომლობს პარტნიორთა დივერსი-ფიცირებულ წრესთან და ავითარებს საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების როგორც ტრადიციულ (საგარეო ვაჭრობა, უცხოური ტურიზმი და სხვ.), ისე ახალ (ერთობლივი საწარ-მოები, თავისუფალი ეკონომიკური ზონები) ფორმებს [31]. საქართველოში ექსპორტი, ტრადიციულად, სანედლეულოა. საზღვარგარეთ გადის ფეროშენადნობები, შავი ლითონების ნარჩენები და ჯართი, სპილენძის მადნები და კონცენტრატები, ცემენტი, დაუმუშავებელი ან ნახევრად დამუშავებული ოქრო, მინერალური ან ქიმიური აზოტოვანი სასუქები, მსუბუქი ავტომობილები და სხვა[32].საგარეო ვაჭრობის

[31] ნათელაური ი. საგარეო ეკონომიკური კომპლექსის ფუნქცი-ონირება და განვითარება გარდამავალ ქვეყანაში მცირე ღია ეკონომიკით (საქრთველოს მაგალითზე). თბილისი, ''მეცნი-ერება'', 2004.

[32] აქართველოს ეკონომიკური ტენდენციები. ეკონომიკური პო-ლიტიკისა და სამართლებრივი საკითხების ქართულ-ევრო-პული ცენტრი, თბილისი, 2008

ოპერაციებიდან საქართველოში უმნიშვნელოვანესია რეექსპორტის ოპერაცია. მას განსაკუთრებულ აქტუალობას სძენს სატრანსპორტო დერეფანი. თავისი პერსპექტივითა და მნიშვნელობით აზია-ევროპის დერეფანი საქართველოში ბადებს საგარეო ვაჭრობის თვისებრივი განვითარების პერსპექტივას. კერძოდ, განვითარდება მომსახურებით ვაჭრობა, რაც მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნისთვის სასურველია; გაიზრდება ქვეყნის შემოსავლები, შეიქმნება იმპორტის სტრუქტურის გაუმჯობესების რეალური პერსპექტივა; საქონელის ექსპორტსა და იმპორტს ჩაენაცვლება მომსახურების ექსპორტი და იმპორტი. თუ არ შემცირდება საგარეო სავაჭრო ბალანსის დეფიციტი, მას ექნება გამართლება იმ მხრივ, რომ ქვეყანაში გაუმჯობესდება საინვესტიციო გარემო. აუცილებელია ითქვას ისიც, რომ საქართველოში ექსპორტი, როგორც რაოდენობრივად, ისე სტრუქტურულად, წარმოადგენს ეკონომიკური განვითარების შედეგსაც და სტაბილურობის დამოუკიდებელ ფაქტორსაც[33]. ჩვენი ქვეყნის მსხვილი სავაჭრო პარტნიორები არიან: თურქეთი, უკრაინა, რუსეთი, გერმანია, აზერბაიჯანი, აშშ, არაბთა გაერთიანებული ემირატები და სხვა ქვეყნები. აქედან უმსხვილესი პარტნიორი ქვეყანაა თურქეთი. ჩვენი ქვეყნის თანამშრომლობა მეზობელ თურქეთთან დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ გააქტიურდა ვაჭრობის, ერთობლივი საწარმოების შექმნის, რეგიონული და სტრატეგიული თანამშრომლობის სფეროებში. საზღვრების გახსნისთანავე საქონელგაცვლითი ოპერაციები საქართველოს ძირითადად თურქეთთან ჰქონდა. გადიოდა: ლითონები, ხეტყე, ჯართი, ელექტროენერგია და სხვა სანედლეულო საქონელი. შემოდიოდა ერთჯერადი მოხმარების საქონელი ფართო ასორტიმენტით. თურქი პარტნიორების თანამონაწილეობით საქართველოს ტერიტორიაზე რეგისტრაცია გაიარა უამრავმა ერთობლივმა საწარმომ. საქართველოს თურქეთთან აკავშირებს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენიც. გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებიდან საქართველოს პარტნიორები არიან აზერბაიჯანი, უკრაინა და სომხეთი. საქართველოსა და აზერბაიჯანის თანამშრომლობა ორი ერთნაირ

[33] https://www.researchgate.net/publication/316463099_sakartvelos_eksporti_postkomunistur_periodshi July 2010 თ. თაფლაძე. საქართველოს ექსპორტი პოსტკომუნისტურ პერიოდში

პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ მდგომარეობაში მყოფი ქვეყნის თანამშრომლობაა. მათ ერთნაირად ეხებათ კავკასიის რეგიონული პრობლემები. ორივე გარდამავალი ეკონომიკის, მცირე ღია ეკონომიკაზე ორიენტირებული ქვეყანაა. ტერიტორიული სიახლოვე ამ ქვეყნებს შესაძლებლობას აძლევს, აქტიური მონაწილეობა მიიღონ TRASECA-ს პროექტში.[34] ამ პროექტიდან მოსალოდნელი სოციალურეკონომიკური ეფექტები ორივე ქვეყნისთვის ძალზე მნიშვნელოვანია. ნავთობსადენი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი და ბაქო-თბილისი-სუფსა საქართველო-აზერბაიჯანის წარმატებული თანამშრომლობის პროექტებია.

საქართველო არის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი და შესაბამისად მასზე ვრცელდება ყველა ის პრეფერენცია თუ რეგულაცია, რომელიც ვრცელდება ამ ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოთა უმეტესობაზე.[35] საქართველოს სავაჭრო პარტნიორების უმეტესი ნაწილი არის ასევე მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი. ამიტომაც, ამ სახელმწიფოებთან, როგორც მსო-ს წევრებთან, საგარეო სავაჭრო ურთიერთობები ხორციელდება „უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის“ (MFN) საფუძველზე.[36]

საქართველოს აქვს თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი დსთ-ს ყველა სახელმწიფოსთან და თურქეთთან. თუმცა რუსეთთან და თურქეთთან არსებული თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმიდან ამოღებულია გარკვეული სახის საქონელი. მაგალითად, თურქეთის შემთხვევაში, რიგი სასოფლო-სამეურნეო პრო-დუქციაზე ორივე მხრიდან შენარჩუნებულია საბაჟო გადასახადები.[37]

საქართველო მრავალმხრივი საგარეო ეკონომიკური კავშირების მქონე ქვეყანაა, თანამშრომლობს პარტნიორთა დივერსიფიცირებულ წრესთან, ავითარებს თანამშრომლობის როგორც ტრადიციულ, ისე ახალ ფორმებს. თანამშრომლობის ტრადიციული ფორმებიდან განსაკუთრებული

---

[34] https://www.researchgate.net/publication/316463099_sakartvelos_eksporti_postkomunistur_periodshi July 2010. თ. თაფლაძე. საქართველოს ექსპორტი პოსტკომუნისტურ პერიოდში

[35] ვმო-ში მოქმედებს განსაკუთრებული მოპყრობის წესები, ყველაზე ნაკლებად განვითარებული ქვეყნებისთვის. ამ სიაში საქართველო არ შედის https://www.wto.org/english/tratop_e/devel_e/dev_special_differential_provisions_e.htm

[36] საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტრო. საგარეო ვაჭრობა http://www.economy.ge/ge/economic-sectors/trade&type=print

[37] საქართველოს საგარეო ვაჭრობა, გ. მახარაძე, ს. ჩხიკვაძე და სხვ., 2009, გვ. 3.

ადგილი ეკუთვნის საქონლითა და მომსახურებით საგარეო ვაჭრობას, კერძოდ, ექსპორტს, იმპორტს და რეექსპორტს.

საქართველოს, საგარეო სავაჭრო ბალანსის ქრონიკულად მზარდი დეფიციტის პირობებში, ობიექტური მიზეზებით გამოწვეული ექსპორტ-იმპორტის არასასურველი სტრუქტურა აქვს; ექსპორტი ტრადიციულად სანედლეულოა, იმპორტი კი, ძირითადად, შუა-ლედური და ერთჯერადი მოხმარების საქონლით არის წარმოდგე-ნილი. იმპორტის მოცულობასა და სტრუქტურას განსაზღვრავს არსებული ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური ვითარება. მოხმარებულ მშპ-ში იმპორტი დიდი ხვედრითი წილის მაჩვენებლით არის წარმოდგენილიდა სტრუქტურულად, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ერთჯერადი მოხმარების საქონლისაგან შედგება. არც ერთი მაჩვენებელი ახალი არ არის – ასე იყო საბჭოთა პერიოდში და ასეა ახლაც. განსხვავება იმაშია, რომ იმპორტს საბჭოთა პერიოდში საქართველოსთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა არ ჰქონდა. ამჟამად კი მნიშვნელოვანწილად, მასზეა დამოკიდებული ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოწყობის ბედი.

რაც შეეხება ექსპორტს, გასული საუკუნის 90-იან წლებში საგარეო ეკონომიკური რეფორმის დაწყებისთანავე დაიწყო აქტიური მუშაობა ექსპორტის სტრუქტურის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით. მაგრამ ყველაფერი დასრულდა ცნობილი მოვლენებით. დამოუკი-დებელ ქვეყნებში დაიშალა ეკონომიკური სისტემები. იმპორტმა შეიძინა სასიცოცხლო მნიშვნელობა. ამან კი მოითხოვა ექსპორტის სანედლეულო სტრუქტურის შენარჩუნება. ამასთან, დეფიციტურმა სამომხმარებლო ბაზარმა და მომხმარებელთა დაბალმა შემოსავლებმა არსებულ სტრუქტურაში ასტიმულირა იმპორტირებული პროდუქციის დაბალი ხარისხი. კიდევ უფრო გაუარესდა იმპორტის სტრუქტურა და ხარისხობრივი მაჩვენებლები. საგარეო ვაჭრობის ოპერაციებიდან საქართველოში უმნიშვნე-ლოვანესია რეექსპორტის ოპერაცია. მას განსაკუთრებულ აქტუალობას სძენს სატრანსპორტო დერეფანი. თავისი პერსპექტივითა და მნიშვნელობით აზია-ევროპის დერეფანი საქართველოში ბადებს საგარეო ვაჭრობის თვისებრივი განვითარების პერსპექტივას. კერძოდ,

განვითარდება მომსახურებით ვაჭრობა, რაც მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნისთვის სასურველია. გაიზრდება ქვეყნის შემოსავლები, შეიქმნება იმპორტის სტრუქტურის გაუმჯობესების რეალური პერსპექტივა. საქონლის ექსპორტსა და იმპორტს ჩაენაცვლება მომსახურების ექსპორტი და იმპორტი. თუ არ შემცირდება საგარეო სავაჭრო ბალანსის დეფიციტი, მას ექნება გამართლება იმ მხრივ, რომ ქვეყანაში გაუმჯობესდება საინვესტიციო გარემო. განსაკუთრებული განსჯის საგანია თანამედროვე საქართველოს საგარეო ვაჭრობის გეოგრაფია და პარტნიორთა წრე. საქართველო თანამშრომლობს მსოფლიოს 136 ქვეყნასთან და ქვეყნების 6 ჯგუფთან. ჩვენი ქვეყნის პარტნიორები განვითარებულ, განვითარებად და პოსტკომუნისტურ ქვეყნებს წარმოადგენენ. მსხვილ სავაჭრო პარტნიორთა რიცხვში შედიან: თურქეთი, აზერბაიჯანი, უკრაინა, რუსეთი ჩინეთი, გერმანია, სომხეთი, აშშ, ბულგარეთი და რუმინეთი. ქვეყნების ჯგუფები იყოფიან ევროკავშირის, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობ-რობის (დსთ), შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის, ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაციის, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის და სუამის ქვეყნებად. საქართველოს უმსხვილესი პარტნიორი ქვეყნებია თურქეთი, აზერბაიჯანი, უკრაინა და და რუსეთი.

რაც შეეხება საქართველოს თურქეთთან ვაჭრობის წილს მთლიან ვაჭრობაში, ის 2014-2017 წლების განმავლობაში 12.7%-სა და 17.2%-ს შორის მერყეობდა - 17.2%-ს 2014 წელს მიაღწია და 2016 წლისთვის 12.7%-მდე შემცირდა. მიმდინარე წლის იანვარ-აპრილის მაჩვენებლებით, საქართველოს თურქეთთან სავაჭრო ბრუნვის წილი მთლიან ვაჭრობაში 14.6%-ს შეადგენს.2016 წელთან შედარებით საქართველოდან თურქეთში ექსპორტის მაჩვენებელი 19%-ით არის გაზრდილი, თუმცა სტაბილური ზრდა უკანასკნელ წლებში ექსპორტის თვალსაზრისით არ ფიქსირდება. პირიქით, 2015 და 2016 წლებში 22%-იანი და 7%-იანი კლება შეინიშნება. 2018 წელს ათი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 66.2% შეადგინა. პირველ ადგილზეა თურქეთი (1 702.8 მლნ. აშშ დოლარი, წილი 13.6%), მეორე ადგილზეა რუსეთი (1 373 მლნ. აშშ დოლარი, წილი 11. %), ხოლო მე-3 აზერბაიჯანი

(1 088.8 მლნ. აშშ დოლარი, წილი 8.7%).[38] საავაჭრო ბრუნვა თურქეთთან წინა წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით, გაიზარდა 7%-ით და 1 704.6 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.

– ექსპორტი გაიზარდა 7%-ით და 232.7 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა;

– იმპორტი გაიზარდა 7%-ით და 1 472 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.

საქართველოდან თურქეთში ექსპორტირებულმა 10 უმსხვილესმა პოზიციამ 175 მლნ აშშ დოლარი შეადგინა და თურქეთში მთლიანი ექსპორტის 75.4% დაიკავა. ეს პოზიციებია:

- მაისურები, თბილი კვართები - 40.5 მლნ. აშშ დოლარი (წილი 17.5%);
- ფეროშენადნობები - 32.5 მლნ. აშშ დოლარი (წილი 14%);
- ნახშირბადიანი ფოლადის ნახევარფაბრიკატები-22.6 მლნ. აშშ დოლარი (წილი 9.7%);
- სპილენძის მადნები და კონცენტრატები - 18.5 მლნ. აშშ დოლარი (წილი 8%);
- ელექტროენერგია -13.8 მლნ. აშშ დოლარი (წილი 6%);
- მამაკაცის კოსტუმები, კომპლექტები -11.0 მლნ. აშშ დოლარი (წილი 4.7%);
- თევზის ფქვილი - 9.6 მლნ. აშშ დოლარი (წილი 4.1%);
- ციანიდები, ოქსიდციანიდები - 7.8 მლნ. აშშ დოლარი (წილი 3.4%);
- შავი ლითონის ნარჩენები და ჯართი - 7.1 მლნ. აშშ დოლარი (წილი 3.1%);
- თევზის ცხიმები - 6.9 მლნ. აშშ დოლარი (წილი 3.0%);
- დაუმუშავებელი ტყვია - 4.7 მლნ. აშშ დოლარი (წილი 2%).

თურქეთიდან იმპორტირებულმა 10 უმსხვილესმა პოზიციამ 353.1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა და თურქეთიდან მთლიანი იმპორტის 24% დაიკავა. ეს პოზიციებია[39]:

– სამკურნალო საშუალებები - 60.3 მლნ. აშშ დოლარი (წილი 4.1%);

– მილები, მილაკები სხვა შავი ლითონისაგან - 49.1 მლნ. აშშ დოლარი (წილი 3.3%);

[38] საქართველოს საგარეო ვაჭრობა 2018 წელი http://www.economy.ge/?page=ecopolitic&s=12 გვ.21

[39] საქართველოს საგარეო ვაჭრობა 2018 წელი http://www.economy.ge/?page=ecopolitic&s=12 გვ.23

– მსუბუქი ავტომობილები - 44.1 მლნ. აშშ დოლარი (წილი 3%);

– მეტალოკონსტრუქციები შავი ლითონებისაგან -37 მლნ. აშშ დოლარი (წილი 2.5%);

– იზოლირებული მავთულები, კაბელები -31.2 მლნ. აშშ დოლარი (წილი 2.1%);

– ახალი საბურავები -27.1 მლნ. აშშ დოლარი (წილი 1.8%);

– სანჰიგიენური ნაწარმი, ბავშვის საფენები -27.0 მლნ. აშშ დოლარი (წილი 1.8%);

– ტანსაცმლის თარგები - 26.7 მლნ. აშშ დოლარი (წილი 1.8%);

– პლასტმასის მილები, ფიტინგები - 25.4 მლნ. აშშ დოლარი (წილი 1.7%);

– სარეცხი და საწმენდი საშუალებები - 25.2 მლნ. აშშ დოლარი (წილი 1,7%).

თურქეთ-საქართველოს თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან რვა წელი გავიდა, ამ ხნის განმავლობაში სავაჭრო ბრუნვა ორ ქვეყანას შორის 600 მილიონი დოლარით, ანუ, 40%-ით გაიზარდა[40].

თურქეთთან თავისუფალი ვაჭრობის ინიციატორი ქართული მხარე იყო: მთავრობა ხელშეკრულებიდან ორ ძირითად სარგებელს ელოდა: რუსული ემბარგოს შემდეგ ქართული ღვინო ახალ 70-მილიონიან ბაზარზე, თურქეთში გადამისამართდებოდა, ქვეყანაში კი თურქული ინვესტიციების „ბუმი“ დაიწყებოდა.

აღსანიშნავია, რომ დოკუმენტი დიდხანს არ იყო ხელმისაწვდომი საზოგადოებისთვის. როგორც მაშინ, ახლაც ექსპერტები და მეწარმეებიც აცხადებდნენ, რომ ხელშეკრულება ნაჩქარევად მომზადდა და თავის შინაარსით ასიმეტრიული იყო - საქართველო გაცილებით მეტ დათმობაზე წავიდა, ვიდრე თურქეთი.

„ხელშეკრულების გაფორმებამდე საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით, 174 ტიპის პროდუქციის შემოტანაზე 12%-იანი საბაჟო გადასახადი მოქმედებდა, ხოლო 43 სახეობაზე - 5%-იანი. შეთანხმების შემდეგ ყველა ზემოხსენებული პროდუქტები 15 პოზიციის გარდა, რომელიც მოხსენებულია პირველ პროტოკოლში, გათავისუფლდა გადასახადებისგან. რაც შეეხება თურქულ მხარეს, გადასახადებისგან არ გათავისუფლდა პროდუქტების 8 კატეგორია (თითოეული

[40] http://eugeorgia.info/ka/article/368/turqettan-tavisufal-vachrobas-evrokavshiri-dcfta-gamoacocxlebs/

კატეგორია 10 პოზიციისგან შედგება) და დამატებით - 22 პოზიცია. ამასთანავე, თურქეთმა სხვადასხვა პროდუქტებისთვის სატარიფო ქვოტები დააწესა და ადგილობრივი წარმოების დასაცავად ფუნქციური მექანიზმი ჩადო, რომელიც ავტომატურად, ქვეყანაში იმპორტს ზღუდავდა. ამის საწინააღმდეგოდ, ქართულ მხარეს სატარიფო ქვოტები თურქული მხარისთვის არ დაუწესებია", - აღნიშნულია „ლიბერალური აკადემიის" კვლევაში, რომელიც 2011 წელს ჩატარდა და თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების ორი წლის შედეგებს აფასებდა.

შეზღუდვები ორივე მხრიდან, ძირითადად, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას შეეხო. თურქეთი, რომელსაც მაღალ დონეზე განვითარებული აგრარული სექტორი აქვს, საკუთარ წარმოებას იმპორტისგან მაქსიმალურად იცავს, როგორც საბაჟო-ტექნიკური ბარიერებით, ასევე დარგის აქტიური სუბსიდირებით (მათ შორის, ექსპორტზეც).

ცხრილი N3.1. ქვოტები და საბაჟო შეღავათები საქართველოდან ექსპორტირებულ პროდუქტებზე:[41]

პროდუქცია	**ქვოტის მოცულობა**	**გადასახადი**
ნატურალური ყურძნის ღვინოები	1 მლნ ლიტრი	-100%
ანჩოუსი (ქაფშია) ახალი, ან შეყინული	8 000 ტონა	-60%
ანჩოუსის ფქვილი	3 000 ტონა	-100%
ნატურალური თაფლი	200 ტონა	-100%
ციტრუსი (ლიმნის გარდა)	4 000 ტონა	-100%
ნესვი, საზამთრო, პაპაია	3 500 ტონა	-100%
ვაშლი	2 000 ტონა	-100%
ბოსტნეული სხვა	1 000 ტონა	-100%
პომიდორი	600 ტონა	-100%
მსხალი, კომში	250 ტონა	-100%

[41] ბ. ნოზაძე. თურქეთთან თავისუფალ ვაჭრობას ევროკავშირი (DCFTA) გამოაცოცხლებს. კვლევა 11 თებერვალი 2016. http://eugeorgia.info/ka/article/368/turqettan-tavisufal-vachrobas-evrokavshiri-dcfta-gamoacocxlebs/

გარგარი,ალუბალი,ატამი,ქლიავი	600 ტონა	-50%
ალაო, წებოვანა	2 000 ტონა	-50%
საკონდიტრო ნაწარმი	1 500 ტონა	-100%
ბოსტნეულის, ხილის კონსერვები	2 200 ტონა	-100%
ჯემი, ხილ-კენკროვანი ჟელე	1 000 ტონა	-50.00%
ხილის, ბოსტნეულის წვენები (ყურძნის)	4 000 ტონა	-65%

საქართველოს სტატისტიკური სამსახურის ინფორმაციით, ქვოტირებული პროდუქციიდან, თითქმის, არცერთი სახეობა თურქეთის რესპუბლიკაში ექსპორტზე ბოლო რვა წლის განმავლობაში არ გასულა, თევზის და თევზპროდუქტების გარდა.

ყველაზე დიდ ინტერესს თურქული მხარე თევზის, კონკრეტულად კი, ქაფშიის მიმართ იჩენდა, ღვინის შემდეგ ყველაზე მაღალი ქვოტა (8 ათასი ტონა) თევზის იმპორტზე დააწესა. ახალი, ან შეყინული ქაფშია საბაჟო გადასახადებისგან 60%-ით გათავისუფლდა. შესაბამისად, თევზის ექსპორტი თურქეთში 2015 წლიწლისთვის 750 ათასი დოლარიდან (5 ათასი ტონა) - 4 მილიონ დოლარამდე გაიზარდა (11 ათასი ტონა) და ქვოტას ბევრად გადააჭარბა. რაც შეეხება ქაფშიის ფქვილს, 3 ათასი ტონა ანჩოუსის ფქვილი მთლიანად გათავისუფლდა გადახადებისგან.შესაბამისად, ბოლო რვა წლის განმავლობაში მისი ექსპორტი თურქეთში 282 ათასი დოლარიდან (296 ტონა) 10,5 მილიონ დოლარამდე გაიზარდა (6,5 ათასი ტონა). თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ შესაბამისი ფლოტის არარსებობის გამო ქართული ლიცენზიანტი კომპანიები, თევზის რეწვისთვის, ძირითადად, თურქულ გემებს იყენებენ, ქირას კი ხშირად ნედლეულით უხდიან. თურქულ კომპანიებს, არცთუ იშვიათად, თევზისგან წარმოებული პროდუქტები ევროკავშირში გააქვთ და დამატებით ღირებულებას იღებენ. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ხელშეკრულების მიხედვით, ბაჟისგან არ გათავისუფლებულა დამარილებული და შებოლილი თევზი.

ღვინოზე, როგორც თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების გაფორმების ინსპირაციის წყაროზე, საქართველოს მთავრობამ ყველაზე მაღალი ქვოტა - 1 მილიონი ლიტრი - მოითხოვა. მართალია, 1 მილიონი ლიტრი დაკარგული

რუსული ბაზრის მხოლოდ მერვედს წარმოადგენდა, თუმცა,ქვოტის ათვისება საერთოდ ვერ მოხერხდა. სტატისტიკური ინფორმაციით, ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთ წელიწადში ალკოჰოლური სასმელების ექსპორტი მხოლოდ 27,6 ათასი ლიტრით განისაზღვრა, იქიდან მიღებულმა შემოსავლებმა კი 91 ათასი დოლარი შეადგინა. 2015 წლისთვის კი მისი მოცულობა 5,7 ათასი ლიტრით შემოიფარგლა (35 ათასი დოლარი).

კომპანია „ბაგრატიონი“ ერთ-ერთ იმ მცირერიცხოვან ქართულ კომპანიებს შორისაა, რომელმაც 2009 წელს თურქეთში ღვინის ექსპორტზე მუშაობა აქტიურად დაიწყო, თუმცა, გაგზავნილი ორი პარტიიდან ერთი უკან დაიბრუნა, მეორედან კი - ანაზღაურება დღემდე არ მიუღია. კომპანიის ხელმძღვანელის, გიორგი რამიშვილის თქმით, მართალია, ქვოტას დაქვემდებარებული ღვინო საბაჟო ტარიფებისგან გათავისუფლებულია, თუმცა, ქვეყნის შიგნით მაინც უწევდათ მოსაკრებლის გადახდა (მისი სახელწოდება ზუსტად ვერ დაასახელა), რომლის მოცულობა ბოთლზე ჯერ 11 ლირა იყო, შემდეგ კი 23 ლირამდე გაიზარდა, რაც ქართული ღვინის თვითღირებულებას ზრდიდა და მომხმარებლის თვალში მიმზიდველობას უკარგავდა.

მიუხედავად იმისა, რომ თურქეთი საკმაოდ დიდი რაოდენობით თაფლს აწარმოებს, ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნადი პროდუქტი თაფლია, განსაკუთრებით კი წაბლის. როგორც თაფლის ქართველმა მწარმოებლებმა eugeorgia.info-ს განუცხადეს, მისი ფასი მეზობელ ქვეყანაში კილოგრამზე - 40-50 ლირას (34-42 ლარი) აღწევს. თუმცა, კომპანია „ბრეტის“ დამფუძნებელი, გიორგი კეპაშვილის თქმით, თავისი პროდუქციის დასაცავად თურქული მხარე მაქსიმალურად პროტექციონისტულ პოლიტიკას ატარებს და შედარებით იაფფასიანი ქართული თაფლის შეტანას ზღუდავს.

აღსანიშნავია, რომ არალეგალურდ, თურქეთში თაფლი მაინც დიდი რაოდენობით გადის, დაწესებული მაღალი ჯარიმის მიუხედავად.

ექსპორტი თურქეთში- სტრუქტურა გაუმჯობესდა, თუმცა, მოცულობა არ გაზრდილა

თურქეთში საექსპორტო პროდუქციის ათეული ბოლო შვიდი წლის განმავლობაში მკვეთრი ცვლილება ჯართისა და ხის ნაწარმის ნაწილში განხორციელდა: 2015 წელს ჯართი თურქეთში, თითქმის, აღარ გაუტანიათ. სამაგიეროდ, მისი ადგილი ფოლადისგან დამზადებულმა ნახევარფაბრიკატებმა და წნელებმა ე.წ. „არმატურამ“ დაიკავა, რომლის საერთო ღირებულებამ 29 მილიონი დოლარი შეადგინა.

ლიდერი კი ექსპორტში, ბოლო წლებია, ტექსტილის პროდუქციის ჯგუფს უკავია, რომლის ექსპორტმა, შარშან, თითქმის, 60 მილიონ დოლარს მიაღწია და შედარებით ხუთჯერ გაიზარდა. საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროში აცხადებენ, რომ სექტორის განვითარება თავისუფალი ვაჭრობის, კერძოდ, კი ორმხრივ კუმულაციაზე შეთანხმების დამსახურებაა. ეს კი ნიშნავს, რომ პარტნიორი ქვეყანის ნედლეულით წარმოებული პროდუქცია ექსპორტირებისას საბაჟო გადასახადებისგან თავისუფლდება. ანუ, თურქული ძაფისა, თუ ქსოვილისგან საქართველოში შეკერილი ნივთები თურქეთში განბაჟებას აღარ ექვემდებარება.

აღსანიშნავია, რომ ტექსტილის ინდუსტრიის გადმოტანით საქართველოში თურქული ბიზნესი ხელშეკრულების გაფორმებამდე სამი წლით ადრე დაინტერესდა, შესაბამისად, რამდენიმე დიდი ფაბრიკა თურქული ინვესტიციით დაფუძნდა. მეზობელი ქვეყნის ეკონომიკა ბოლო 20 წლის განმავლობაში სწრაფი ტემპებით ვითარდება, ტექსტილის ინდუსტრია კი შრომატევადი დარგია, კონკურენ-ციის შენარჩუნება მხოლოდ იაფი მუშახელით არის შესაძლებელი. საქართველო სწორედ ამის გამო გახდა, პირველ რიგში, მიმზიდველი.

2007-დან 2015-წლამდე 4-ჯერ შემცირდა ხე-ტყის ექსპორტი და 1,8 მილიონი დოლარი შეადგინა, თუმცა,, მოცულობით გამოსახულებაში კიდევ უფრო მეტად - 10-ჯერ მოიკლო (3,7 ათას ტონამდე). საექსპორტო ათეულში ახალი პროდუქტი გაჩნდა სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების სახით, რომლის მოცულობამ 5,6 მილიონ დოლარს მიაღწია (სავარაუდოდ, რეექსპორტის რეჟიმით გადის). ზრდა შეინიშნება აზოტოვანი სასუქების ექსპორტის ნაწილშიც, რომელიც 110 ათასი

დოლარიდან 3 მილიონ დოლარამდე გაიზარდა.

გაცილებით შთამბეჭდავია თურქული პროდუქციის იმპორტის მონაცემები: პირველი ადგილი სამკურნალო საშუალებებმა დაიკავეს, რომელთა მოცულობა 8-ჯერ გაიზარდა და 81 მილიონ დოლარს მიაღწია. შავი ლითონებისგან დამზადებული კონსტრუქციების იმპორტი 2,6-ჯერ - 41 მილიონ დოლარამდე, პლასტმასებისგან წარმოებული მილების კი 2-ჯერ - 37 მილიონ დოლარამდე გაიზარდა. განსაკუთრებული მატება დაფიქსირდა სანიტარულ-ჰიგიენური პროდუქციის (საფენებისა და ბავშვთა სახვევების მიმართულებით, რომლის იმპორტი 0-დან 35 მილიონ დოლარამდე გაიზარდა. 2,4-ჯერ მოიმატა სარეცხი საშუალებების (31 მილიონი დოლარი), 2,8-ჯერ კაბელების (24,6 მილიონი დოლარი), 2,4-ჯერ ავეჯის, 17%-ით - მერქან-ბურბუშელას ფილების და 17-ჯერ კიცემენტის იმპორტმა. თითქმის ყველა ზემოთ ჩამოთვლილი პროდუქტი სხვადასხვა დროს ან ახლაც საქართველოში იწარმოება.

ბოლო წლების განმავლობაში ზრდა დაფიქსირდა სოფლის მეურნეობის პროდუქტების იმპორტზე, რომელიც საქართველოს მხრიდან გადასახადისგან გათავისუფლდა:

ცხრილი N3.2. სოფლის მეურნეობის პროდუქტების იმპორტში[42]

პროდუქცია	**2007 წელი**	**2015 წელი**
პომიდორი	4 მლნ დოლარი	16 მლნ დოლარი
კიტრი(კორნიშონი)	771 ათასი დოლარი	3,5 მლნ დოლარი
სტაფილო,, თალგამი, ჭარხალი	737 ათასი დოლარი	1,7 მლნ დოლარი
ბოსტნეული სხვა ახალი ან შეყინული	1,6 მლნ დოლარი	6,7 მლნ დოლარი
ხილისა და ბოსტნეულის წვენები	214 ათასი	904 ათასი

[42] ბ. ნოზაძე. თურქეთთან თავისუფალ ვაჭრობას ევროკავშირი (DCFTA) გამოაცოცხლებს. კვლევა 11 თებერვალი 2016. http://eugeorgia.info/ka/article/368/turqettan-tavisufal-vachrobas-evrokavshiri-dcfta-gamoacocxlebs/

	დოლარი	დოლარი
ნესვი, საზამთრო, პაპაია	264 ათასი დოლარი	648 ათასი დოლარი
(ვაშლი) მსხალი, კომში	164 ათასი დოლარი	827 ათასი დოლარი
კომბოსტო, ბროკოლი	193 ათასი დოლარი	316 ათასი დოლარი
ბოსტნეული ძმარში დამზადებული	78 ათასი დოლარი	863 ათასი დოლარი
ჯემი ხილ-კენკროვანი ჟელე	36 ათასი დოლარი	400 ათასი დოლარი

ვიდრე თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებას გააფორმებდა, 2006 წლიდან საქართველო, როგორც მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი, უკვე სარგებლობდა თურქეთთან პრეფერენციული სისტემით (GSP+), რომლის ფარგლებში, 7200 პროდუქცია გათავისუფლებული იყო საბაჟო გადასახადისგან. როგორც „ლიბერალური აკადემიის“ კვლევაში აცხადებდნენ,საქართველოს 16 ძირითადი საექსპორტო პროდუქტიდან 10-ს GSP+ ფარავდა, ორს (მათ შორის, კოპტონსა და დამარილებულ თევზს) არცერთი ხელშეკრულება შეეხო, სამი გათავისუფლდა (მათ შორის, ელექტროენერგია), ხოლო ერთი (სინთეზური ორგანული სათრიმლავი ნივთიერებები) ქვოტას დაექვემდებარა[43]. დაახლოებით მსგავსი დასკვნა გამოიტანეს ევროპელმა ექსპერტებმაც: „საქართველოსთან ტერიტორიული სიახლოვისა და იაფი სამუშაო ძალის გამო მოსალოდნელია, რომ თურქეთთან თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებამ გაზარდოს საქართველოში თურქული ინდუსტრიის ინვესტირება. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ ხელშეკრულებამ შეამცირა, მაგრამ არ გააუქმა საბაჟო ტარიფები სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე თურქული მხრიდან, მათ შორის საქართველოსთვის ისეთ მნიშვნელოვან პოზიციაზეც კი, როგორიცაა, ღვინო, თხილი, ზოგიერთი ხილი

[43] http://eugeorgia.info/ka/article/368/turqettan-tavisufal-vachrobas-evrokavshiri-dcfta-gamoacocxlebs/

და წვენები, ქაფშია და ყველი. ამასთანავე, ეს ძალიან ზედაპირული თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებაა, რომელიც არ მოიცავს მომსახურებას და ინვესტიციებს და მსო-ს მარეგულირებელ დებულებებს არ სცდება[44]", - აღნიშნულია ევროკომისიის მიერ 2008 წელს მომზადებულ კვლევაში, რომელიც ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის გაფორმების სავარაუდო შედეგებისთვის მომზადდა.

ქართველი მეწარმეები ხშირად ჩივიან, რომ თურქულ პროდუქციასთან კონკურენცია უჭირთ. რთულია, მსჯელობა, რამდენად კორელაციაშია თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების შედეგები ოფიციალურ სტატისტიკასთან, რომელიც საქართველოს სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებას ასახავს, მით უფრო, რომ მათი სიზუსტე დიდ ეჭვს იწვევს, საგულისხმოა, რომ ერთგვარი შემცირება, ან სტაგნაცია ბოსტნეულ კულტურების წარმოებაში მაინც ფიქსირდება: 15 ათასი ტონით (19%-ით) შემცირდა პომიდვრის წარმოება მიუხედაად იმისა, რომ ხელშეკრულების მიხედვით, იმპორტირებული პომიდორი საბაჟო გადასახადისგან არ გაათავისუფლეს ივნისიდან სექტემბრამდე, როდესაც ადგილობრივი ე.წ. გრუნტის (ანუ, ღია ცისქვეშ, მინდვრებში მოყვანილი პომიდორი მოდის, სამაგიეროდ, ვერ ვითარდება სასათბურე მეურნეობა (ენერგომატარებლების სიძვირისა და ტექნოლოგიური, თუ ფინანსური სიმწირის გამო) პომიდვრის საპირისპიროდ, 10 ათასი ტონით (32%-ით) გაიზარდა კიტრის წარმოება, განახევრდა ჭარხლის წარმოება 5 ათას ტონამდე, ხოლო კომბოსტო კი - 30%-ით, 23 ათას ტონამდე, სამაგიეროდ, გაიზარდა სტაფილოსა და ხახვის წარმოება. თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების ძირითად სარგებლად საქართველოს მთავრობა თურქეთიდან ინვესტიციების მოზიდვასაც მიიჩნევდა. მართლაც, ხელმოწერიდან პირველივე, 2008 წელს, მეზობელი ქვეყნიდან კაპიტალდაბანდების მოცულობა 60%-ით გაიზარდა და 165 მილიონ დოლარს მიაღწია, მათმა წილმა კი მთლიან პირდაპირ უცხოური ინვესტიციებში 4,7%-დან 10,5%-მდე მოიმატა. თუმცა, შემდეგ წლებში მკვეთრად მოიკლო. 2014 წელს, მაგალითად, მხოლოდ 63 მილიონ დოლარს შეადგენდა, ანუ,

[44] http://eugeorgia.info/ka/article/368/turqettan-tavisufal-vachrobas-evrokavshiri-dcfta-gamoacocxlebs/

მთლიანი ინვესტიციების 3,6%-ს (სიტუაცია შედარებით გაუმჯობესდა შარშან: სამ კვარტალში 110 მილიონ დოლარს მიაღწია (11%).[45]

ცხრილი N3.3. საგარეო ვაჭრობა. მილიონი აშშ დოლარი[46]

	2014	2015	2016	2017	2018*	2019* იანვარი-მაისი
საგარეო სავაჭრო ბრუნვა	11 462.9	9 505.0	9 406.7	10 678.1	12 477.6	4 959.1
საქონლის რეგისტრირებული ექსპორტი (FOB)	2 861.0	2 204.7	2 112.9	2 735.5	3 354.5	1 466.8
საქონლის რეგისტრირებული იმპორტი (CIF)	8 601.8	7 300.3	7 293.8	7 942.7	9 123.1	3 492.3
საგარეო ვაჭრობის სალდო	-5 740.8	-5 095.6	-5 180.9	-5 207.2	-5 768.6	-2 025.5
ექსპორტი რეექსპორტის გარეშე	1 818.8	1 604.2	1 621.2	2 010.1	2 225.1	939.0

2019 წლის იანვარ-მარტში საქართველოში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ (არადეკლარირებული ვაჭრობის გარეშე) 2 807.3 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 0.1 პროცენტით ნაკლებია. აქედან ექსპორტი 826.0 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს (12.8 პროცენტით მეტი), ხოლო იმპორტი 1 981.3 მლნ. აშშ დოლარს (4.7 პროცენტით ნაკლები).

დიაგრამა N3.3.უმსხვილესი საიმპორტო ქვეყნების წილი იმპორტში 2019 წლის იანვარი-აპრილი[47]

[45] http://eugeorgia.info/ka/article/368/turqettan-tavisufal-vachrobas-evrokavshiri-dcfta-gamoacocxlebs/
[46] https://www.geostat.ge/ka/modules/categories/112/metadata-sagareo-vachroba
[47] https://www.geostat.ge/ka/modules/categories/35/sagareo-vachroba



საქართველოს უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა, 2019 წლის იანვარ-მარტში, 1 155.3 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც საგარეო სავაჭრო ბრუნვის 41.2 პროცენტია. ამავე პერიოდში ექსპორტი რეექსპორტის გარეშე, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 4.5 პროცენტით გაიზარდა და 553.1 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.

ცხრილი N3.4. საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნები 2019 წლის იანვარ-მარტის ექსპორტის მიხედვით[48]

	2018* წლის იანვარი-მარტი		2019* წლის იანვარი-მარტი		ცვლილება (%)
	ათასი აშშ დოლარი	პროცენტული წილი	ათასი აშშ დოლარი	პროცენტული წილი	
ექსპორტი – სულ	732 090.2	100.0	826 006.2	100.0	12.8
მათ შორის:					
რუსეთი	98 207.0	13.4	135 361.3	16.4	37.8
აზერბაიჯანი	76 408.0	10.4	84 904.8	10.3	11.1
ბულგარეთი	62 940.0	8.6	68 141.0	8.2	8.3
სომხეთი	54 639.4	7.5	63 128.1	7.6	15.5
უკრაინა	31 453.5	4.3	62 330.1	7.5	98.2
თურქეთი	85 402.8	11.7	57 258.1	6.9	-33.0

ცხრილი N3.5. საქართველოდან თურქეთში ექსპორტირებული უმსხვილესი სასაქონლო ჯგუფები[49]

»	2018* წლის იანვარი-მარტი		2019* წლის იანვარი-მარტი	
	ათასი აშშ დოლარი	ტონა	ათასი აშშ დოლარი	ტონა
ექსპორტი – სულ	85 402.8		57 258.1	
მათ შორის:				
ნახევარფაბრიკატები ნახშირბადიანი ფოლადისაგან	6 551.3	13 206.8	10 444.8	27 468.4
ტრიკოტაჟის ნაწარმი	11 048.5	399.2	9 361.3	415.6
სპილენძის მადნები და კონცენტრატები	18 485.9	13 564.2	7 119.7	4 608.8
ფეროშენადნობები	9 904.9	8 190.1	5 639.3	5 156.8
კოსტუმები, კომპლექტები, ტრიკოტაჟისა, ნაქსოვი, მამაკაცისა ან ბიჭისა	2 138.2	104.1	2 809.0	141.4
დანარჩენი საქონელი – სულ	37 274.0		21 884.0	

[48] https://www.geostat.ge/ka/modules/categories/112/metadata-sagareo-vachroba
[49] https://www.geostat.ge/ka/modules/categories/112/metadata-sagareo-vachroba

ცხრილი N3.6. თურქეთიდან საქართველოში იმპორტირებული უმსხვილესი სასაქონლო ჯგუფები

	2018* წლის იანვარი-მარტი		2019* წლის იანვარი-მარტი	
	ათასი აშშ დოლარი	ტონა	ათასი აშშ დოლარი	ტონა
იმპორტი – სულ	313 943.8		316 046.6	
მათ შორის:				
მედიკამენტები დაფასოებული	10 046.0	135.4	20 364.2	325.4
მეტალოკონსტრუქციები შავი ლითონებისაგან	6 862.0	3 795.0	10 423.5	6 151.1
ტექსტილის მზა ნაწარმი (ტანსაცმლის გარდა)	9 890.8	479.8	9 723.6	582.0
მავთულები იზოლირებული, კაბელები	7 377.3	1 703.2	8 414.0	1 611.1
შავი ლითონების მილები, მილაკები და ღრუ პროფილები	11 755.0	14 243.8	8 388.1	11 140.4
დანარჩენი საქონელი – სულ	268 012.7		258 733.0	

2019 წლის იანვარ-მარტში ათი უმსხვილესი საიმპორტო პარტნიორი ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან იმპორტში 67.7 პროცენტი შეადგინა. პირველ სამეულში შედის: თურქეთი (316.0 მლნ. აშშ დოლარი), ჩინეთი (221.8 მლნ. აშშ დოლარი) და რუსეთი (191.7 მლნ. აშშ დოლარი)[50].

[50] https://www.geostat.ge/media/23242/saqonlit-sagareo-vachroba_saqartveloshi-19.04.2019-%28geo%29.pdf

დასკვნა

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ააქტიურდა თანამშრომლობა თურქეთთან, საქონლითა და მომსახურებით საგარეო ვაჭრობის, ერთობლივი საწარმოების შექმნის, რეგიონული და სტრატეგიული თანამშრომლობის სფეროებში. საქონელგაცვლითი ოპერაციები საქართველოს ძირითადად ჰქონდა თურქეთთან. გაჰქონდა: ლითონი, ხე-ტყე, ჯართი, ელექტროენერგია და სხვა სანედლეულო საქონელი. შემოდიოდა: ერთჯერადი მოხმარების საქონელი ფართო ასორ-ტიმენტით.

თურქი პარტნიორების თანამონაწილეობით საქართველოს ტერიტო-რიაზე რეგისტრაცია გაიარა უამრავმა ერთობლივმა საწარმომ. საქართველოს თურქეთთან აკავშირებს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენიც. ამჟამად თურქეთში გადის დიდი რაოდენობით ნახევარფაბრიკატები რკინისა და არალეგირებული ფოლადისაგან, აზოტოვანი სასუქები, ტრიკოტაჟის მაისუ-რები, არმატურა, ხორცისა და თევზის ფქვილი; რაც შეეხება იმპორტს, თურქეთიდან საქართველოში იმპორტირდება: სამკურნალო საშუალებები, მეტალო-კონსტრუქციები შავი ლითონებისაგან, სანიტარულ–ჰიგიენური ნაწარმი, მილები და მილაკები პლასტმასისაგან, მილები და მილაკები შავი ლითონებისაგან.

საქსტატის მონაცემებით, თურქეთის რესპუბლიკა უკანასკნელი წლების განმავლობაში საქართველოს ერთ-ერთი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყანაა. საქართველოდან თურქეთში ექსპორტირებული უმსხვილესი სასაქონ-ლო ჯგუფებია: ტრიკოტაჟის ნაწარმი, ფქვილი და ხორცი, თევზი, ელექტრო-ენერგია და წნელები ნახშირბადიანი ფოლადისაგან (ე.წ. „არმატურა“). ხოლო, თურქეთიდან საქართველოში იმპორტირებული უმსხვილესი სასაქონლო ჯგუფებია: შავი ლითონის მეტალოკონსტრუქციები, სამკურნალო საშუალებები, მილები და მილაკები შავი ლითონებისაგან, იზოლირებული კაბელები და მავთულები, სანიტარულ-ჰიგიენური ნაწარმი და სხვა.

საქართველოს ექსპორტირებული პროდუქციის დახვეწილობის მაჩვენებელი საკმაოდ დაბალია, ერთ სულ მოსახლეზე მსგავსი მშპ-ს მქონე ქვეყნებთან შედარებით და ეს მაჩვენებელი ბოლო 10 წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად არ გაზრდილა (expy-ის ინდექსი).

საგარეო ვაჭრობის პრობლემატიკის შესწავლისა და სტრატეგიის ჩამოყალიბების პროცესში გადამწვეტ როლს მეზობელ ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობები წარმოადგენს, რომლებიც ჩვენი ქვეყნის ძირითადი სავაჭრო პარტნიორებიც არიან. ამ მხრივ მნიშვნელოვანია განვითარებადი ეკონომიკის მქონე თურქეთი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბატიაშვილი ზ., თანამედროვე თურქეთი ბიულეტენი N12 1998 ივლისი
2. გორგილაძე ი. _ თურქეთის ტრანსკასპიური პოლიტიკა, საისტორიო მაცნე, XVIII, ბათუმი, 2009.
3. თოქმაზიშვილი მ. საქართველოს რეგიონული იდენტობის პოლიტიკური ეკონომია. სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი»გლობალიაზაცია და ბიზნესი" N1 სპეციალური გამოშვება თბილისი 2016 19 ივნისი
4. ნათელაური ი. საგარეო ეკონომიკური კომპლექსის ფუნქცი-ონირება და განვითარება გარდამავალ ქვეყანაში მცირე ღია ეკონომიკით (საქრთვე-ლოს მაგალითზე). თბილისი, ''მეცნი-ერება'', 2004.
5. საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები. ეკონომიკური პო-ლიტიკისა და სამართლებრივი საკითხების ქართულ-ევრო-პული ცენტრი, თბილი-სი, 2008
6. ჯანდიერი გ., თურქულ-ქართული ეკონომიკური ურთიერთობები 2016
7. პავლიაშვილი ს., გარაყანიძე ზ. საქართველოს სატრანსპორტო დერეფნი-პრობლემები და პერსპექტივები. თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი თბ. 2014
8. საქართველოს საგარეო ვაჭრობა, გ. მახარაძე, ს. ჩხიკვაძე და სხვ., 2009
9. Hurrell, A. Regionalism in Theoretical Perspective, in Louise Fawcett and Andrew Hurrell (ed.), Regionalismin World Politics.Oxford: Oxford University Press. 1995. PP.39-45
10. Tokmazishvili, M. New Realities in the South Caucasus: Georgia-EC, Armenia-CU: Contradictions and Opportunities for Cooperation. In the book: Russia-Georgia: Challenges and Perspectives in the Economic Sector. ICCN, RIAC. Tbilisi. 2014
11. Ivane Chkhikvadze: Zero Problems With Neighbors: The Case Of Georgia, in: Turkish Policy Quarterly, 2/2011

ინტერნერის რესურსები

1. თურქეთის საშინაო და საგარეო პოლიტიკა რეგიონული უსაფრთხოების კონტექსტში 2017 / 05 / 22 https://www.gfsis.org/ge/blog/view/710

2. https://www.atsu.edu.ge/en/images/pdf/disertaciebi/disertacia_chigvaria.pdfთურქეთის გეოპოლიტიკა XX საუკუნის 90 - იანი წლებიდან
3. https://www.academia.edu/13593450/ თურქეთის_საგარეო_პოლიტიკა_1990-2008
4. თ. თაფლაძე. საქართველოს ექსპორტი პოსტკომუნისტურ პერიოდში ვმო-ში მოქმედებს განსაკუთრებული მოპყრობის წესები, ყველაზე ნაკლებად განვითარებული ქვეყნებისთვის. ამ სიაში საქართველო არ შედის https://www.wto.org/english/tratop_e/devel_e/dev_special_differential_provisions_e.htm
5. ბ. ნოზაძე. თურქეთთან თავისუფალ ვაჭრობას ევროკავშირი (DCFTA) გამოაცოცხლებს. კვლევა 11 თებერვალი 2016. http://eugeorgia.info/ka/article/368/turqettan-tavisufal-vachrobas-evrokavshiri-dcfta-gamoacocxlebs/
6. საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტრო საგარეო ვაჭრობა http://www.economy.ge/ge/economic-sectors/trade&type=print
7. საქართველოს საგარეო ვაჭრობა 2018 წელი http://www.economy.ge/?page=ecopolitic&s=12
8. http://eugeorgia.info/ka/article/368/turqettan-tavisufal-vachrobas-evrokavshiri-dcfta-gamoacocxlebs/
9. http://eugeorgia.info/ka/article/368/turqettan-tavisufal-vachrobas-evrokavshiri-dcfta-gamoacocxlebs/
10. http://mfa.gov.ge/MainNav/ForeignPolicy/BilateralRelations/%E1%83%97%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%A5%E1%83%94%E1%83%97%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%9E%E1%83%A3%E1%83%91%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90.aspx
11. Export Country 1995–2015, Geostat, <www.geostat.ge/cms/site_images/_files/english/bop/2015/Export%20Country_1995-2015_eng.xlsx
12. http://www.wto.org/ english/thewto_e/countries_e/georgia_e.htm
13. Bergsten, F. Open Regionalism, Working Paper 97-3, 1997. Peterson Institute for International Economics. http://www.iie.com/publications/ wp/wp.cfm?ResearchID=152
14. Diba Nigar Göksel: Turkey and Georgia: Zero-Problems? German Marshall Fund of the United States (GMFUS) Policy Brief, June 2013, www.gmfus.org/publications/turkey-and-georgiazero-problems>
15. Georgia, Turkey agree to intensify customs cooperation, in: Trend news agency, 30.1.2015, <http://en.trend.az/scaucasus/georgia/2358763.html>.
16. Samuel Lussac: The Baku-Tbilisi-Kars Railroad and its geopolitical Implications for the South Caucasus, in: Caucasian Review of International Affairs, 4/2008, <www.cria-online.org/ 5_5.html>. – Laut dem CEO der Firma Marabda-

Kartsachi, die die Bauarbeiten durchführt, werden noch weitere zwei bis drei Jahre benötigt; Is the Baku-Tbilisi-Kars railway worth the fuss? Open Democracy, 2.11.2015,www.opendemocracy.net/od-russia/yana-israelyan/isbaku-tbilisi-kars-railway-worth-fuss>.

17. Valeri Modebadze Georgian – Turkish Relations since the Breakdown of Soviet Union https://www.academia.edu/7537738/Georgian_Turkish_Relations_since_the_Breakdown_of_Soviet_Union